# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№38 (10041) 2026 წლის 1 აპრილი, ოთხშაბათი


## ხელისუფალნო, იქნებ ინებოთ პუბლიცისტ ჯუმბერ სარდლიშვილის სიმართლით სავსე წერილის წაკითხვა









6-7

# მართალი უკუნეთს ანათებს!



3

## ვინ უშლიდა პატრიარქს ნერვებს?!

# ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრი ზუგდიდში





**საპრეზიდენტო ცენტრი კულტურის მინისტრმა, თინათინ რუხაძემ, ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ჩიქოვანმა, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა და საქართველოს სასახლე-მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა, გიორგი კალანდიამ გახსნეს.**

კულტურის სამინისტროს ცნობით, თანამედროვე სტანდარტების მულტიფუნქციური შენობა მოიცავს სამკითხველო დარბაზს, მედიათეკას, სამუშაო, სალექციო, საკონფერენციო და საგამოფენო-სამუზეუმო დარბაზებსა და საფონდო სივრცეებს, სარესტავრაციო ლაბორატორიებს. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენა – „თანამედროვე ქართული ხელოვნება“. გამოფენაზე წარმოდგენილია XX საუკუნის ქართული ფერწერის კოლექცია. ექსპონატებს შორისაა **ელენე ახვლედიანის, გივი თოიძის, ლადო გუდიაშვილისა** და **ედმონდ კალანდაძის** ნამუშევრები.

ასევე, გაიმართა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, **კონსტანტინე გამსახურდიას საჯარო ლექცია – „ზვიად გამსახურდია: მებრძოლი სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის, მომავლის მოღვაწე“. საპრეზიდენტო ცენტრის გახსნის ღონისძიება საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.**

## დიდი ჰესების მშენებლობის განახლება ხუდონით დაიწყება?!

4

### მარკო რუბიო:

## აშშ–ის გარეშე ნატო არ არსებობს!

– ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, **მარკო რუბიომ** განაცხადა.

ჟურნალისტმა **რუბიოსთვის** კითხვის დასმისას აღნიშნა, რომ, ზოგიერთი ევროპელის აზრით, აშშ-ს არ სურს ნატოსთან თანამშრომლობა.




**„ჩვენ ათასობით ჯარისკაცი და მილიარდობით დოლარი გავგზავნეთ. ეს ყველაფერი ევროპის დასაცავად გავაკეთეთ და არა აშშ-ის დასაცავად. აშშ-ის გარეშე ნატო არ არსებობს და ეს ყველამ იცის. თუ ხვალ გადავწყვეტთ, რომ ჩვენი სამხედროები გავიყვანოთ ევროპიდან, ეს იქნება ნატოს დასასრული და მათ ეს იციან. ვინც ამას გეუბნებათ, არაკეთილსინდისიერია და თამაშობს“,** – აღნიშნა **რუბიომ.**

# გაფარჩაკებულთა გუშინდელი განცხადებიდან!

**დღეს, 31 მარტს ოპოზიციის ალიანსი ვიწყებთ, ერთობლივ, ეროვნული მობილიზაციის კამპანიას. ეს არის „ოპოზიციის ალიანსის“ ინიციატივა, მაგრამ ეს საქმე არ არის ექსკლუზიურად ჩვენი გასაკეთებელი, ეს არის ყველას გასაკეთებელი საქმე.**

ჩვენი მიზნები ძალიან მარტივია: **პირველი,** უნდა გავზარდოთ პირდაპირი, პირისპირი კომუნიკაცია მოქალაქეებთან; **მეორე,** უნდა გავანეიტრალოთ რეჟიმის პროპაგანდა. დღეს ორი მთავარი იარაღი, რაც ამ რეჟიმს აქვს, არის ტყუილი და შიში; **მესამე,** ის ბრაზი, პროტესტი და ცვლილების სურვილი, რომელიც უკვე წლებია, არსებობს საზოგადოებაში, უნდა გადავაქციოთ რეალურ პოლიტიკურ ქმედებად; **მეოთხე,** უნდა დავამარცხოთ შიში, რომელიც ამ რეჟიმმა წლების განმავლობაში მიზანმიმართულად დანერგა. უნდა გავზარდოთ პროტესტში ჩართული ადამიანების რაოდენობა.



იხ. 3 გვ.

ეს კამპანია გაგრძელდება ორი თვის განმავლობაში და მისი სიმბოლური კულმინაცია იქნება 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს თბილისში დაგეგმილი დიდი, ხალხმრავალი აქცია...

* * *

**ეს არის და ეს, ძვირფასო მკითხველო! გვეშველა და ეგ არი!**

საქართველოს რესპუბლიკა

დიდი პოლიტიკის დასაწყისი

№38. ოთხშაბათი, 1 აპრილი, 2026 წელი



მიხეილ ყაველაშვილი:

# 1991 წლის 31 მარტი – საქართველო ირჩევს დამოუკიდებლობას!

ჩვენს ისტორიას იშვიათად თუ ახსოვს ერის ასეთი ერთიანობა და საერთო ღირებულებების ირგვლივ ერთსულოვნად შეკრული საზოგადოება.

დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის შედეგები იქცა სუვერენული საქართველოს ურყევ სამართლებრივ საძირკვლად, რომელზეც, უკვე 35 წელია, ჩვენს სახელმწიფოებრიობას ვაშენებთ.

ჩვენ უნდა დავიცვათ ის უდიდესი მონაპოვარი, რომლისთვისაც წინაპრები თაობების განმავლობაში იბრძოდნენ. ჩვენი ვალია, მოვუფრთხილდეთ იმ უძვირფასეს მემკვიდრეობას, რომელმაც ჩვენი დღევანდელობა განსაზღვრა, განვამტკიცოთ სუვერენიტეტი და განვაგრძოთ სვლა კიდევ უფრო ძლიერი, ღირსეული და ერთიანი საქართველოს მშენებლობისკენ, სადაც საკუთარ ბედს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხი განაგებს.

ირაკლი კობახიძე:

# 1991 წელს საქართველომ, მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობამ, საქართველოს სუვერენულ მომავალს მისცა ხმა

31 მარტი საქართველოს უახლეს ისტორიაში გამორჩეული დღეა!

1991 წლის 31 მარტს გაიმართა საყოველთაო რეფერენდუმი, რომელშიც სრულიად საქართველომ – მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობამ – ერთსულოვნად, მსოფლიოს გასაგონად, საქართველოს სუვერენულ მომავალს მისცა ხმა.

ჩვენი ვალია, გავუფრთხილდეთ ამ ფასდაუდებელ მონაპოვარს, ღირსეულად დავიცვათ და გავაძლიეროთ სახელმწიფოებრიობა, რომელიც 1991 წლის რეფერენდუმმა განამტკიცა.

შალვა პაპუაშვილი:

# საქართველო გადარჩა!

დღეს 31 მარტია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღე. დღე, როდესაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებულმა საყოველთაო სახალხო გამოკითხვამ ერთხმად უპასუხა ისტორიულ კითხვას, გვსურდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამ კითხვაზე საქართველოს ყველა კუთხემ, საქართველოს ყველა შვილმა ერთხმად თქვა – დიახ! 31 მარტი ასევე არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე. ადამიანის, რომელმაც რეფერენდუმიდან სულ რამდენიმე დღეში, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტის დღეს უკვე მისი სახელობის დარბაზში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და თავისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირა ქართული სახელმწიფოს ხელახალ დაბადებას. ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის 35-წლიანი გზა გამოდგა ეკლიანი, დანაღმული, ვიწრო და მრავალი ტრაგიკული დღით აღსავსე. სახელმწიფოებრიობის წყვეტამ, იმპერიის ნგრევამ, ეკონომიკურმა კოლაფსმა, ადამიანურმა ამპარტავნებამ, შიდა გაუტანლობამ და ბევრმა სხვა მძიმე ფაქტორმა ამ გზაზე თავისი კვალი დატოვა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ გადავრჩით. საქართველო გადარჩა! ჩვენ არამხოლოდ გადავრჩით, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, დავიცავით ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენიტეტი და ჩვენი თავისუფლება. დავიცავით არა იმპერიების მხარეს დგომით, არამედ საკუთარი ქვეყნის მხარეს ყოფნით. დავიცავით არა ახალი პატრონის ძიებით, არამედ დამოუკიდებლობის მძიმე ტვირთის ზიდვით, საკუთარ სარკეში ჩახედვით და თვალის გასწორებით იმ კითხვასთან, თუ ვინ ვართ, რანი ვიყავით და ვინ ვიქნებით.



მარკო რუბიო ირაკლი კობახიძეს ესაუბრა. ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ორმხრივი ინტერესის სფეროები განიხილეს, მათ შორის, კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოება.





# რაზე ისაუბრეს რუბიომ და კობახიძემ?

**„ნაყოფიერი სატელეფონო საუბარი მქონდა აშშ-ის სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოსთან. ხაზი გავუსვით პარტნიორობის განახლებისა და საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში ძლიერი პარტნიორის როლის გაძლიერების მნიშვნელობას. ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას, საქართველო-აშშ-ის კავშირების განმტკიცებისა და რეგიონული სტაბილურობისა და დაკავშირებადობის ხელშეწყობის მიმართ“,** – წერს სოციალურ ქსელ X-ზე **ირაკლი კობახიძე.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის შემდგარ სატელეფონო საუბარს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს „გახარია საქართველოსთვის“ წევრი, დეპუტატი **გიორგი შარაშიძე**, რომლის განცხადებით, ზოგადად, ამერიკელები ყველას ესაუბრებიან.

**„ვფიქრობ, სერიოზული საუბარი იყო, არასახარბიელო კობახიძისთვის, მაგრამ დიდი ალბათობით, იმედის მომცემი საქართველოსთვის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკელები, ზოგადად, ყველას ესაუბრებიან და საუბარში არაფერი განსაკუთრებული არ არის. მთავარი ის არის, რაზეა საუბარი. თავად სახელმწიფო დეპარტამენტის მშრალ ინფორმაციას, რაც ჯერჯერობით, ამ ეტაპისთვის არის ხელმისაწვდომი, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს არ არის ყველაფერი, რაზეც სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს. მთავარი ქვეყნისთვის და ხალხისთვის იყოს კარგი, „ოცნებისთვის“ და კობახიძისთვის რამდენად კარგი გზავნილები შეიძლებოდა მიეღო მარკო რუბიოსგან, ეს მეორე საკითხია. ვნახოთ, მე მაინც მგონია, რომ „ქართულ ოცნებას“ მოუწევს უკან დახევა“,** – განაცხადა **გიორგი შარაშიძემ.**

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, რუბიოსა და კობახიძეს შორის აღნიშნული კომუნიკაცია მნიშვნელოვანია არა იმდენად შინაარსით, არამედ ფორმატით, რაც, მისი თქმით, მიუთითებს, რომ საქართველო კვლავ რჩება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ დღის წესრიგში. როგორც ქართველიშვილი აღნიშნავს, საუბარი შეეხო ორმხრივ ურთიერთობებს, რეგიონულ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო საკითხებს, თუმცა განცხადებები თავშეკავებული და პრაგმატული იყო.

**„აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მარკო რუბიოსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს შორის გამართული სატელეფონო საუბარი სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც კონტაქტის ფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ფორმალური შინაარსი. ოფიციალურ თბილისსა და ვაშინგტონს შორის გაწელილი პაუზისა და პოლიტიკური გაგრილების ფონზე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის პირდაპირი დიალოგის ფაქტი უკვე აღარ არის მხოლოდ დიპლომატიური ჟესტი – ეს არის სიგნალი, რომ საქართველო რჩება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ დღის წესრიგში და არ არის გამოტანილი მისი აქტუალური ინტერესების ფარგლებს გარეთ.**

**შინაარსობრივად, საუბარი შეეხო მთავარ ბლოკებს – ორმხრივ ურთიერთობებს, რეგიონულ უსაფრთხოებასა და საერთაშორისო დღის წესრიგს. დიახ, სახელმწიფო დეპარტამენტის ფორმულირებები იყო თავშეკავებული და ნეიტრალური – ხმამაღალი განცხადებების, დაპირებებისა და დემონსტრაციული პოლიტიკური ჟესტების გარეშე. მაგრამ სწორედ ეს არის პრაგმატიზმის მაჩვენებელი: არ არის ბრალდებები, არ არის ზეწოლა, არ არის საჯარო კონფრონტაცია. დიპლომატიაში ეს ნიშნავს ერთს – მხარეები შეგნებულად ტოვებენ სივრცეს შემდგომი დიალოგისთვის და არ კეტავენ შესაძლო დაახლოების არცერთ სცენარს“,** – წერს ანალიტიკოსი.

მისივე შეფასებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საუბარში ხაზი გაესვა საქართველოს როლს, როგორც რეგიონულ პარტნიორს. ეს არ არის უბრალოდ რიტორიკა – ეს არის მარკერი.

**„სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ტურბულენტობის, ენერგეტიკული მარშრუტებისა და ლოგისტიკური დერეფნების ფონზე, საქართველოს მნიშვნელობა ობიექტურად იზრდება და ვაშინგტონი ამას აფიქსირებს. შესაბამისად, მიუხედავად წარსულში გამოთქმული მკვეთრი შეფასებებისა და კრიტიკისა, აშშ არ არის მზად, დაკარგოს თბილისი, როგორც რეგიონული არქიტექტურის ელემენტი. სწორედ ამიტომ შედგა ეს კონტაქტი – ზედმეტი ხმაურის გარეშე, მაგრამ უმაღლეს დონეზე“.**

თამთა ქარჩავა



# ვინ უშლიდა პატრიარქს ნერვებს?!



## რა ძალები ცდილობენ დედა-ეკლესიის დისკრედიტაციას?!

**წლების განმავლობაში, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტი – საქართველოს საპატრიარქო რადიკალების სამიზნეა. სოსო გოგაშვილის მიერ დარიგებული სუსის ფაილები ისევ აქტუალური გახდა და ისევ ეკლესიის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, „დამოუკიდებელ მედიას“ ახალი დავალება აქვს – განხეთქილება შეიტანონ ეკლესიაში, სწორედ წმინდა სინოდის შეკრებამდე. სავარაუდოა, რომ ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევამდე ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება და მათ შორის საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრის, მეუფე შიოს წინააღმდეგ, რომელიც მისმა უწმინდესმა სიცოცხლეშივე გამოაცხადა თანამოსაყდრედ.**

აღსანიშნავია, რომ მეუფე შიოს წინააღმდეგ მიმდინარე დისკრედიტაციისა და ცრუ ბრალდებების კამპანია არც გლოვის დღეებში შეწყვეტილა. იმდენად სუფთაა მეუფის მთელი ცხოვრება, წუხილით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ აი, სუსის ფაილებშიც კი არ მოიპოვება მის წინააღმდეგ კომპრომატები. სურვილი იმისა, რომ ეკლესიაში შეიტანონ განხეთქილება, დიდია, მაგრამ ასევე უზარმაზარია საზოგადოების ნდობა ეკლესიის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგს ვერ მიაღწევენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, **ირაკლი ქადაგიშვილის**



განცხადებით, ეკლესიაზე თავდასხმის მიზანი მისი ავტორიტეტის დაზიანებაა, ყველაზე მიიტანენ შეტევას, ვისაც პატრიარქობის პერსპექტივა ექნება. მისი თქმით, უნდა ითქვას, რომ საქართველოში და ქვეყნის გარეთაც, სამწუხაროდ, არიან ძალები, რომლებიც მიზანმიმართულად ცდილობენ საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციას.

**„ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს აღვირახსნილი კამპანია თვითონ პატრიარქის წინააღმდეგ, ეკლესიის წინააღმდეგ. ახლა, რა თქმა უნდა, ისინი ამ ბრძოლას გააგრძელებენ, მით უმეტეს, როცა ნახეს, რომ ქართველი ხალხის ასეთი მხარდაჭერა აქვს ეკლესიას და პატრიარქს. ასე რომ, ეს მათი თავდასხმა ეკლესიაზე გაგრძელდება.**

**მიზანი არის ერთი, დააზიანონ მაქსიმალურად ავტორიტეტი. შედეგი რომ არ ექნება, თვითონაც იციან, მაგრამ თვითონ პროცესი რომ ნეგატივის ფონზე წარმართონ, მიაჩნიათ, რომ ეს უკვე გარკვეული შედეგია. ბუნებრივია, მეუფე შიოზე თავდასხმებიც ახლა გაძლიერდება, რადგან შეიძლება, ერთ-ერთი კანდიდატი იყოს პატრიარქობის ტახტზე. ყველაზე, ვისაც ასეთი პერსპექტივა ექნება, შეტევას მიიტანენ“.**



პარლამენტის ვიცე-სპიკერის, **გიორგი ვოლსკის**



განცხადებით, ეკლესიის მიმართ შეტევა არის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იმ სტრატეგიისა, რომელიც ქვეყნის წინააღმდეგ გაერთიანებულ შეთქმულთა გუნდს გააჩნია. როგორც ვოლსკი აცხადებს, შეთქმულთა გუნდის მიერ გაილანძღება მეუფე შიოც, გაილანძღება ყველა, ვინც აღიარებს იმას, რომ ქვეყანა უნდა გადარჩეს, რომ ქვეყანაში სტაბილურობაა შესანარჩუნებელი.

**„აქ ყველაფერი ითქმება, რომ ეს არის რუსეთის აგენტურა, რომ რუსეთზე მუშაობს ქართული ეკლესია და ასე შემდეგ. რასაკვირველია, ამას არ უნდა შევუშინდეთ, მით უმეტეს, როდესაც ვიხილეთ, თუ სად დგას საქართველოს მოსახლეობა. პატრიარქს თუ რუსეთის აგენტს ეძახიან, რა გაუჭირდებათ, რომ მეუფე შიოს თუ ნებისმიერ სასულიერო პირს უწოდონ იგივე, ან ნებისმიერი სხვა რამ?! არც მინდა გავიმეორო ის სიბინძურეები.**

**აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის, როცა საქართველოს ერთიანობა ირღვეოდა, ეკლესია განმაპირობებელი იყო იმისა, რამაც შექმნა ის საქართველო, რომელიც დღეს გვაქვს. თუკი არსებობს სახელმწიფო სტრუქტურები, სამოქალაქო საზოგადოება იმ სახით, რასაც ჰქვია საყრდენი სახელმწიფოსთვის, აქ, პირველ რიგში, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ეკლესია თანასწორი მნიშვნელობით და არა მარტო ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“,** – აღნიშნა **გიორგი ვოლსკიმ.**

**წლების წინ, სუს-იდან გამოტანილ ე.წ. ფაილებს გამოეხმაურა ბოდბელი მთავარეპისკოპოსი** მეუფე იაკობი, **რომლის განცხადებით, არც ფაილები აინტერესებს და არც ის, ვინც უსმენს. მისი თქმით, ღვთის შეწევნით, ყველაფერი კარგად იქნება, უბრალოდ, მძიმედ გავდივართ ამ პერიოდს.**

**„სინოდის თითოეულ წევრს ვეუბნები: ჩვენში არ შეიძლება დაძაბულობა, ტელევიზიებში ათას სისულელეს ვუყურეთ. არც სუს-ის ფაილები მაინტერესებს და არც ვინც გვისმენს. ვინც გვისმენს, იმასაც მოვკიდებ ხელს, გვარებიც ვიცით, ყველაფერი ვიცით. ერთმა თავიც მოიკლა, ხომ ხედავთ. ფაილებში, შესაძლოა, 95% სიმართლე თქვან და სისულელეებიც ბრძანონ. ღმერთი გვიყვარს და წესიერად მოიქცეს ყველა. ჩვენი სახელმწიფოს საგარეო მიმართულებაზე ვსაუბრობ... ვისაც ჩვენთვის სიკეთე არ უნდა, ფრთხილად იყვნენ ჩვენთან. ჩვენთან არს ღმერთი. ჩვენ ერთმანეთიც უნდა გვიყვარდეს და მტერიც, მაგრამ ქრისტეს და ჩვენი ქვეყნის მტერი ვერ გვეყვარება, ეს ყველამ იცოდეს. არაფრის შეგეშინდეთ, ღვთის შეწევნით, ყველაფერი კარგად იქნება, უბრალოდ, მძიმედ გავდივართ ამ პერიოდს“,** – აღნიშნავს **მეუფე იაკობი.**

**„ახლა ბევრი ვნებათაღელვაა, დაბნეულია ერი. მიდის საუბარი, ვინ იქნება პატრიარქი, როგორ იქნება.**



**მთავარი ეს კი არ არის, პატრიარქს რა თქმა უნდა, გამოვარჩევთ, ღირსეული იქნება ვისაც გამოვარჩევთ, აქ მთავარია ის, რომ ხშირად დაბნეულები რომ ვიყავით, ზოგი ამბობდა ამას დავუჭერთ მხარს, იმას დავუჭერთ მხარს. მოდი, ჩავთვლით, დაბნეულები რომ ვიყავით, ამიტომ ვამბობდით. ქრისტიანმა ადამიანმა რომ მაგით დაიწყოს: „ეგ აირჩიეთ“, „იქ აირჩიეთ“, ეს ნიშნავს, რომ ქრისტესგან განშორებულია. არჩევა სულიწმიდით ხდება. მეც ვერ ვეტყვი ვინმეს, ეპისკოპოსს, არ ვკადრებ, ღმერთს არ ვკადრებ იმას, რომ ამას დაუჭირეთ მხარი, ან იმას. ვიცი, ვინ უნდა ავირჩიო, განა, არ ვიცი?! აქ მთავარია ის, თუ ჭკვიანი ადამიანები დაფიქრდებიან იმაზე, რომ როდესაც უწმინდესი საჭეთმპყრობელი ბრძანდებოდა ეკლესიის, გადახედეთ აბა, სინოდის წევრები ყოველთვის ისე ვიქცეოდით, რომ მასთან ვიდექით? ნერვებსაც ხშირად ვუშლიდით... შეგვინდოს უფალმა!!!**

**ადამიანები ვართ და ჩვენი სისუსტეა. მთავარია სინოდი ძლიერად ვიყოთ და როცა გამოვარჩევთ პატრიარქს, პატრიარქთან ერთად ვაკეთოთ ერთი საქმე, ერთსულოვნებით. ის კი არ არის მთავარი, ვინ იქნება პატრიარქი. ჩვენ პატრიარქზე დიდი, ვინც არ უნდა იყოს, მთელი სინოდი რომ აგვიღონ, იმის ფასი არ ვართ არცერთი! ვერ იტანდა, ერთმანეთს რომ რაღაცას ვუშავებდით, ცუდს რომ ვლაპარაკობდით... ბოლოს და ბოლოს დაგვინახოს ყველამ, როგორ გვიყვარს ერთმანეთი და შეგვაფასონ, თუ ვისები ვართ. გგონიათ, რომ ვინმეს ჩავრევთ რაიმე გადაწყვეტილებაში?! გამორიცხულია!“,** – აღნიშნავს მეუფე იაკობი.

აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა კი თქვა, რომ ღმერთი როგორც აკურთხებს, ისე იქნება. მისი თქმით, დღეს პატრიარქობა არის მძიმე ჯვარი და პასუხისმგებლობა. მიტროპოლიტმა მორწმუნეებს ლოცვისკენ მოუწოდა.

**„დიდი მითქმა-მოთქმა არის, მინდა, გაგაფრთხილოთ და გითხრათ: ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ტელევიზიებში ათას რამეს ჰყვებიან, ათას რამ გეგმას დასახავენ. ბევრ კანდიდატს დაასახელებენ, მოჰყვებიან ყველა, თითქოს მნიშვნელოვან ამბავს, იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი არის თქვენი სულიერი დაბნეულობისა და სიბრმავის შესაქმნელად. თქვენ უნდა იცოდეთ, სახარებიდანაც შეგახსენებთ–უფალი გვაფრთხილებს, „მოვა დრო, როცა იტყვიან: აქ არის ქრისტე, იქ არის ქრისტე“.**

**ნუ დაუჯერებთ ნურავის, ღმერთი როგორც აკურთხებს, ისე იქნება, ვინ იქნება ღირსი პატრიარქობის გვირგვინის–უნდა იცოდეთ, რომ ეს არის მძიმე ჯვარი და პასუხისმგებლობა, ამიტომ, ყველას გვმართებს დღეს ლოცვა, რომ გამორჩეული კანდიდატი იყოს ღირსეული და თუ იგი დამტკიცდება, მას უნდა ჰქონდეს ღვთის ძალა, რომ ეს პასუხისმგებლობა ატაროს. არავინ იფიქროს, რომ დღეს პატრიარქობა პატივია მხოლოდ, ეს არის დიდი სიმძიმეც“,**



– განაცხადა **აბბა ალავერდელმა.**

**მიტროპოლიტი ისაია** ოპოზიციური მედიის სამიზნე გახდა იმ თვალსაზრისით, რომ განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სასურველ და ავტორიტეტულ კანდიდატს. რეალურად კი ცდილობენ, რომ მეუფის სახელის გამოყენებით, განხეთქილება შეიტანონ ეკლესიაში. თავად მიტროპოლიტი ისაია მრევლს მოუწოდებს, რომ ილოცონ, რათა გამოარჩიოს უფალმა ადამიანი, რომელიც გოლგოთაზე ღვთის ნებით უნდა ავიდეს.



**„არჩევნები მოდის. არავინ დასახელებულა ჯერ საერთოდ. ამას თავისი დრო აქვს, როდესაც უნდა მოხდეს ეს ამბავი. ერთმა სასულიერო პირმა მომწერა უცხოეთიდან, ვლოცულობ, რომ თქვენ გახდეთო, მას ვუპასუხე: „იმაზე კი ნუ ლოცულობთ, ვინ გახდეს და ვინ არა, ილოცეთ იმისთვის, რომ ყოველი არის ღვთის ნება“. უფლის ნება როგორია, ეს არის მთავარი, თქვენც გთხოვთ, რომ ილოცოთ, როგორც არის ღვთის ნება, რომ გამოარჩიოს უფალმა ის ადამიანი, რომელიც ამ გოლგოთაზე ღვთის ნებით უნდა ავიდეს.**

**ეს არაა ადვილი, სასიხარულო ამაში არაფერია, ეს არის ჯვარი - უფალი ვისაც დააკისრებს, ალბათ, ამაზე უარი არ უნდა თქვას და ეს ჯვარი უნდა იტვირთოს. ამას ვერავინ იტვირთებს, თუ ღვთის შეწევნა არ იქნება, ეს უფლის შეწევნაა, თუ უფალი არ შეეწია ადამიანს, ვერც ჩვენი უწმინდესი შეძლებდა ამას, მას რომ ღვთის შეწევნა არ ჰქონოდა. ამდენად, ინებოს უფალმა, რომ გამოარჩიოს ის, ვინც არის მისთვის საჭირო, ვისაც ის ხედავს“,** – დასძინა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტმა, **მეუფე ისაიამ.**

თამთა ქარჩავა



# დიდი ჰესების მშენებლობის განახლება ხუდონით დაიწყება?!

**ქვეყანაში დიდი ჰესების მშენებლობის ახალი კამპანია იწყება. სამი დიდი ჰესიდან (ხუდონი, ნენსკრა, ნამოხვანი), პირველი ხუდონი აშენდება – ასეთი ინფორმაცია აქვს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს მაია მელიქიძეს. საუბარია 702-მეგავატიან ჰიდროელექტროსადგურზე, რომლის მშენებლობაც პრინციპულად გადაწყვეტილია.**



**მელიქიძის განმარტებით, პროექტის განხორციელება შესაძლებელია რამდენიმე მოდელით. სახელმწიფოსა და ინვესტორის ერთობლივი მონაწილეობით, მხოლოდ კერძო ინვესტორის მიერ ან სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლად. ამ ეტაპზე სახელმწიფოს განსახილველად რამდენიმე ტექნიკურად მომზადებული პროექტი აქვს და არჩევანი გაკეთდება იმ ვარიანტზე, რომელიც გარემოზე ნაკლებ ზემოქმედებას მოახდენს.**

განსაკუთრებული ყურადღებაა მიპყრობილი ნამოხვანის, ნენსკრასა და ხუდონის პროექტებისადმი. ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებულია ხუდონის 702-მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგურის აშენებაზე. პროექტის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ინვესტორის, ისე სახელმწიფოს, ან მათი კომბინირებული მონაწილეობით.

სამინისტროს ხელმძღვანელობა ამჟამად იკვლევს ტექნიკურად დახვეწილ პროექტებს, რათა აირჩიოს ისეთი, რომელიც ნაკლებ ზიანს აყენებს და ნაკლებ რისკს ქმნის გარემოსთვის. ასევე, განიხილეს დაკავშირებული საკითხები, სტაბილურობისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

ხუდონჰესთან დაკავშირებით, უკვე 45 წელიწადია, ქვეყნის მოსახლეობაში უარყოფითი დამოკიდებულებაა. პროექტის განხორციელების რამდენიმე მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, ბოლო მათგანი 12 წლის წინ ჩაიფუშა. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკოსი **დავით მირცხულავა** სოფელ ხაიშში ჰესის აშენებას ოპტიმისტურად უყურებს. ხუდონჰესის ყოფილი ინვესტორი კომპანია „ტრანს ელექტრიკას" ტექნიკური დირექტორი მიიჩნევს, რომ „მთავრობამ მოსახლეობასთან პირისპირ, გაცილებით პროფესიონალურად უნდა ისაუბროს".

**„მსგავსი მასშტაბის სადგურები მთელ მსოფლიოში შენდება. ხშირად მომყავს მცირემიწიანი იაპონიის მაგალითი, რომელსაც 3000-მდე წყალსაცავიანი ჰესი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კიოტო იაპონელებისთვის უმნიშვნელოვანესი კულტურული და ისტორიული ცენტრია, თავის დროზე, ქალაქს 140 ჰექტარი მაინც „ჩამოეჭრა" ამ მიზნით. წარმოიდგინეთ შვეიცარია, რომელიც საქართველოზე პატარაა, თუმცა 430 წყალსაცავი აქვს. იქ ყოფნისას, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი მოვინახულე და საკუთარი თვალით ვნახე ეს გამოცდილება. თუ ჩვენ მაღალი კლასის ენერგეტიკა გვინდა, უნდა გვესმოდეს, რომ „უფასო საუზმე არ არსებობს"...**



**რამდენიმე წლის წინ, ინვესტორი კომპანია „ტრანს ელექტრიკასგან" სახელმწიფომ გამოისყიდა ხუდონჰესის პროექტი. სახელმწიფოს გააჩნია საკმაოდ დიდი აქტივი, რომელიც 2015 წელს შეფასებული იყო, დაახლოებით, 150 მილიონ დოლარად – ესაა მიწისქვეშა ნაგებობები, რაც თითქმის დასრულებულია, სადღაც 60-70%-ით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს სოციალური ნაწილი – მოსახლეობასთან ურთიერთობა...**

**ყველგან, სადაც შესაძლებელია, დასავლური გამოცდილება უნდა იქნას გამოყენებული. მაგალითად, იტალიას მოვიყვანდი, სადაც მოგების გარკვეულ ნაწილს იმ თემს უნაწილებენ, რომელსაც პროექტი უშუალოდ ეხება. იტალიის ჩრდილოეთში რამდენიმე პროვინცია სწორედ ამგვარი ეკონომიკური შემოსავლებითაა ქვეყანაში ყველაზე წარმატებული. აქედან გამომდინარე, ახალი არგუმენტებითა და შეთავაზებებით, ადგილობრივი მოსახლეობა, ფაქტობრივად, საკუთარ გვარსა და ოჯახს 100-წლიან მომავალს – ეკონომიკური განვითარების გარანტიას შეუქმნის. ჩემთვის ცნობილია, რომ მთავრობა სწორედ დასავლეთ ევროპაში მიღებული ასეთი ურთიერთსასარგებლო პირობებისა და მიდგომების დანერგვაზე მუშაობს",** – განაცხადა **მირცხულავამ.**

**ბექა დანელია**

## ელექტროენერგიის ტარიფი ხუთი თეთრით გაიზარდა!



**ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი ხუთი თეთრით გაიზარდა, კომერციული ტარიფი კი- 5-6 თეთრით,** – ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის სხდომაზე გახდა ცნობილი.

**ახალი ტარიფები პირველი აპრილიდან შევა ძალაში.**

**კერძოდ, თბილისში მცხოვრებ აბონენტებს, რომლებიც ყოველთვიურად 0-იდან 101 კილოვატამდე ელექტროენერგიას მოიხმარდნენ და ერთ კილოვატში 15,041 თეთრს იხდიდნენ, პირველი აპრილიდან ტარიფი 20,041 თეთრამდე გაეზრდებათ.**

**დღეის მდგომარეობით, სამომხმარებლო ტარიფები ასეთია:**

**„თბილისი – 0 კვტ.სთ-დან 101 კვტ.სთ-ის ჩათვლით და საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე (საყოფაცხოვრებო) – 15.041 თეთრი;**

**101 კვტ.სთ-დან 301 კვტ.სთ-ის ჩათვლით (საყოფაცხოვრებო) – 19.053 თეთრი;**

**301 კვტ.სთ-დან და მეტი (საყოფაცხოვრებო) – 23.537 თეთრი.**

**რეგიონები – 0 კვტ.სთ-დან 101 კვტ.სთ-ის ჩათვლით და საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე (საყოფაცხოვრებო) – 14.731 თეთრი;**

**101 კვტ.სთ-დან 301 კვტ.სთ-ის ჩათვლით (საყოფაცხოვრებო) – 18.708 თეთრი;**

**31 კვტ.სთ-დან და მეტი (საყოფაცხოვრებო) – 23.227 თეთრი.**



# გრანდიოზული ჰესები ქართველმა ხალხმა უნდა ააშენოს!

## ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ქალბატონ მარიამ ქვრივიშვილს

**ქალბატონო მინისტრო,**

2026 წლის **11 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა განცხადება რომელშიც თქვენ ბრძანებთ, რომ „ხელისუფლების ამოცანაა 2036 წლისათვის ქვეყანაში დადგმულმა სიმძლავრემ 11500 მეგავატს მიაღწიოს და ელექტროენერგეტიკული სექტორი სრულიად თვითკმარი გახდეს. ის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების გარანტია".**

ქვეყნის პრემიერის მიერ ადრე გაკეთებული განცხადებით ელექტროენერგეტიკული სექტორი თვითკმარი 2030 წლისათვის უნდა გამხდარიყო!..

დადგმულმა სიმძლავრემ 11500 მეგავატს რომც მიაღწიოს და ელექტროენერგეტიკული სექტორიც თვითკმარი რომ გახდეს, ეს მიღწევა საქართველოს დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების მყარი გარანტი ვერ იქნება. კვლავ მოგვიხდება უცხოელი ინვესტორების მოწვევა ინვესტიციების განსახორციელებლად, კვლავ ჩაერევიან ჩვენი სახელმწიფოს შინაურ საქმეებში უცხო ქვეყნები და მათი მოქალაქეები, კვლავ მოგვთხოვონ, რომ თუ გვინდა ევროპა, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილზე. გაიზრდება ჩვენი ქვეყნიდან მიგრაციული პროცესი და როგორც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ამტკიცებს, ქვეყნის შიგნით საზოგადოების ფენებს შორის გაიზრდება მკვეთრი დაპირისპირება.

თუ გვინდა ჩვენი ქვეყნის მყარი დამოუკიდებლობა, ექსპორტის მკვეთრი ზრდა, მიგრაციული პროცესების მნიშვნელოვნად შემცირება და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობა, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელს უნდა მივუერთოთ სულ მცირე 200-300 მეგავატი სიმძლავრე.

როდესაც ევროპა თვითონ მოდის ჩვენთან და შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მონტაჟი 2029 წლისთვის უნდა დამთავრდეს, ამავე წელს, კაბელი ზემოხსენებული სიმძლავრით თუ ვერ დავტვირთეთ, ამ ფაქტს ქართველი ხალხი ქვეყნის ინტერესების ღალატად შეაფასებს.

ჰიდრომშენებელთა ჩვენი ჯგუფი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ ზემოხსენებული პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია დიდი სიმძლავრის ჰესების მშენებლობა. ვამტკიცებთ რომ მათი დაფინანსება, მშენებლობა და ექსპლოატაცია უნდა განახორციელოს საქართველოს ხალხმა, რომ ამ ღონისძიებამ მიიღოს საყოველთაო-სახალხო მოძრაობის სახე. ამ ღონისძიებას, უკვე ჰყავს მხარდამჭერები და დამფინანსებლები.

თუ ჩვენ ვთანხმდებით, რომ ჰესების მიერ გამოშვებული ელ. ენერგია ნახევარფაბრიკატი არ არის, იგი უნდა აღირიცხოს და საფასური იქნეს გადახდილი. ეს გაზრდის ბიუჯეტში გადასახადს, შემცირდება მნიშვნელოვნად ელექტროენერგიის დატაცება, მოისპობა სისტემაში შავი ფულის წარმოქმნა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

საზოგადოების ფონდის კუთვნილი ფულადი სახსრების განთავსების მიზნით და ელ. ენერგიის გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრების მისაღებად საჭიროა გაიხსნას სახელმწიფო ბანკი.

სახელმწიფო ბანკის გახსნას ითხოვენ სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრები, რომელთა განსწავლულობა და პატრიოტიზმი ჩვენი ხალხისათვის ცნობილია.

**ქალბატონო მარიამ, ჩვენ გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ ტურიზმში წარმატებულ მინისტრს ასეთ რთულ და თქვენთვის არაპროფილურ დარგში გიხდებათ მოღვაწეობა, მაგრამ რადგან მინისტრი ხართ, „ვინ თუ არა თქვენ, როდის თუ არა დღეს" (უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).**

**წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში, ქალბატონო მინისტრო.**

ჰიდრომშენებელთა
ერთი ჯგუფის სახელით
დამოუკიდებელი ექსპერტი
ჰიდრომშენებლობაში
**ნუგზარ კობახიძე,**
ტ: 599 74 82 53

**P.S.** დიდი სიმძლავრის ჰესების მშენებლობა და მათი განმხოლოებულად მიერთება შავი ზღვის კაბელზე ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი ატარებს რა რეფორმებს დემოკრატიული წინსვლისათვის, ასრულებს „მოსკოვის მექანიზმის" რეკომენდაციებს. **ნ. კ.**

# ბრიყვთა ღნავილი გრძელდება...

**ქართულ პოლიტიკურ ველზე ოპოზიციური ალიანსი მორიგი „გადამწყვეტი“ ეტაპის დაანონსებას ცდილობს. მას შემდეგ, რაც დასავლელ პარტნიორებთან, კერძოდ კი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ პიტერ ანდრეოლისთან შეხვედრა გამართეს, ოპოზიციის ლიდერებმა საზოგადოებას ახალი თარიღი — 31 მარტი დაუსახელეს. თუმცა, ანალიტიკოსთა ნაწილი და მმართველი გუნდი მიიჩნევს, რომ ეს არა ახალი შესაძლებლობა, არამედ ძველი, წარუმატებელი სცენარის მორიგი გათამაშებაა.**




# ოპოზიციის ღია მუქარა

## „31 მარტიდან დიდი ცვლილებები იქნებაო!

### ამბიცია რეალობის გარეშე: რას აანონსებს ოპოზიცია?

**ოპოზიციური ერთობის რიტორიკა უპრეცედენტოდ აგრესიულია. ისინი ხელისუფლებას ულტიმატუმებს უყენებენ და მასშტაბური პროტესტით იმუქრებიან.**

„სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერი **გიორგი ვაშაძე**, რომელსაც ალტერნატიული მთავრობის ფორმირებასა და ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობის აღებაზე საუბრობს, ღიად აანონსებს:

**„31 მარტიდან, ჩვენი ქმედებები უფრო და უფრო აქტიური იქნება. დაინახავთ კონკრეტულ განრიგს, კონკრეტულ ქმედებას... ჩვენ ვემზადებით ხელისუფლებაში მოსასვლელად... არჩევნების გზით, თუ, რა გზაც იქნება“**, — განაცხადა **ვაშაძემ.**

ვაშაძე პირობას დებს, რომ 5 წელიწადში ქვეყანას ევროკავშირში შეიყვანს და მრავალმილიარდიან ინვესტიციებს მოიზიდავს. თუმცა, მისივე აღიარებით, გეგმები ხშირად ფორსმაჟორულ გარემოებებზეა დამოკიდებული:

**„ჩვენ დაგეგმილი გვქონდა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ პატრიარქის გარდაცვალების გამო გადაიწია“**, — განაცხადა მან.

### დასავლეთის მხარდაჭერის იმედი და ვაჭრობა „ტყვეებით“

**ოპოზიცია კვლავაც იმედოვნებს, რომ დასავლეთის მხარდაჭერა მათთვის გადამწყვეტი იქნება. ნიკა გვარამია პირდაპირ მიუთითებს, რომ მათი გეგმების აღსრულებას, რომელიც „დიდ აქციებსა და ცვლილებებს“ გულისხმობს, გარე დახმარება სჭირდება:**

**„ვუთხარით ყველაფერი, რაც ისედაც იცოდნენ... ვუთხარით მთავარი — ჩვენ არ ვივაჭრებთ ტყვეებით, არ დავიხევთ უკან, იქნება დიდი აქციები და იქნება ცვლილებები. ამაში მათი მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტად გვჭირდება“**, — განაცხადა **გვარამიამ.**

მიუხედავად ამ მცდელობისა, მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის ეს ერთობა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი სახეების გადაჯგუფებაა. პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** მკაცრად აფასებს ამ პროცესს და მას წარსულის რევანშის მცდელობად ნათლავს:

**„ამ ხალხმა, მგონი, ჭკუა ვერ ისწავლა. სისხლიანი რეჟიმის შემოქმედები გამოდიან, ცხვირაწეულები საუბრობენ, რომ სურთ ხელისუფლებაში დაბრუნება და ჰგონიათ, რომ მათ ქართველი ხალხი ხელისუფლებას გააკარებს?!“**

**პაპუაშვილის** განცხადებით, ჩვენ მოწმენი ვართ „ნაციონალური მოძრაობის“ რეინკარნაციისა, სადაც დაშლილი ფრაგმენტები კვლავ ერთიანდებიან თავიანთი „გამორჩეული“ ლიდერების გარშემო.

პარლამენტის თავმჯდომარე ვაშაძის დაპირებებსაც ირონიით პასუხობს: **„გავიგეთ, რომ სამი „პ“ არიან — პატიოსანიო, პროფესიონალიო, პატრიოტიო. „პ“-თი დაწყებულ სიტყვებს ნუ გაეთამაშებიან. შეიძლება, სხვა სიტყვებიც მოჰყვეს მათ რიგში“**, — განაცხადა **პაპუაშვილმა.**

### მცდარი გათვლა: ხელისუფლება დათმობას არ აპირებს

**ანალიტიკოსთა ნაწილი შენიშნავს, რომ ოპოზიცია მცდარ გზას ადგას, რადგან ხელისუფლებას ახლა ის მდგომარეობა არ აქვს, რომ ოპონენტებმა საკუთარი პირობები წაუყენონ.**

მაშინ, როცა „ქართული ოცნება“ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან ურთიერთობების დალაგებასა და სტაბილურობის შენარჩუნებას ცდილობს, რადიკალური ფლანგის ქმედებები საზოგადოებაში ნაკლებ მხარდაჭერას ჰპოვებს.

**ხელისუფლება არ აპირებს დათმობებზე წასვლას — არც პატიმრების გათავისუფლებას და არც რიგგარეშე არჩევნებს. ოპოზიციის მცდელობა, კვლავ აქციების გზით ილაპარაკოს, მიანიშნებს იმაზე, რომ მათ რეალური პოლიტიკური რესურსი არ გააჩნიათ და მხოლოდ დესტაბილიზაციის იმედად არიან.**

რამდენად რეალურია აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან ამ ძალების მხარდაჭერა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან პრაგმატული პოლიტიკა ხშირად სტაბილურობას უფრო ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე გაურკვეველ რევოლუციურ სცენარებს.

### ოპოზიციის რესურსის დეფიციტი და ისტორიული კონტექსტი



**ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე For.ge-თან ამბობს, რომ ახლა ოპოზიციას არანაირი რესურსი არ გააჩნია იმისა, რომ რეალური პოლიტიკური ცვლილება შეძლოს.**

**„მას შემდეგ, რაც 2012 წელს, „ნაციონალებმა“ ხელისუფლება ხალხის ნებით დაკარგეს, მას მერე მუდმივად ამბობენ იმას, რომ აი, ხალხი შეიკრიბება, ეს ხელისუფლება წავა და ჩვენ დავბრუნდებით. ეს თქვა ვანო მერაბიშვილმა 2013 წლის აპრილში და იმის შემდეგ სულ ამ სიტუაციაში არიან. 13 წელია მას შემდეგ გასული და ისევ იგივეს ლაყბობენ. რეალური მუხტი ქვეყანაში აქციების და მასობრივი გამოსვლების არ არსებობს.**

**მით უმეტეს, არ არის იმისი მუხტი, რომ ესენი ვინმემ ლიდერებად მიიღონ. როცა მართლა ბევრი ხალხი გამოვიდა ევროპის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ვნახეთ, რომ ესენი გვერდითაც არ გაიკარეს. ხალხმა ამით ნათლად აჩვენა, რომ ამ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც ოპოზიციაში არიან და მით უმეტეს „ნაციონალების“ სახით, გვერდით დგომა არ სურთ და ხელისუფლებაში მათი უკან დაბრუნება ხომ საერთოდ წარმოუდგენელია. რომ ყოფილიყო ასეთი მუხტი, ასეთი ლიდერები გამოჩნდებოდნენ. ამ ადამიანებს საკუთარი მხარდამჭერებიც კი აღარ ენდობიან იმ არაერთი არასწორი ქმედებისა და არჩევნების ბოიკოტის გამო. მით უმეტეს, დანარჩენი მოსახლეობა ამათ გვერდით არ დადგება“**, — ამბობს ანალიტიკოსი.

### ვაშაძის რიტორიკა და ამომრჩევლის შენარჩუნების მცდელობა

**მისივე თქმით, რაც შეეხება გიორგი ვაშაძის ამ რიტორიკულ განცხადებას, რომ ისინი ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებიან, არ შეუძლიათ, საკუთარი წარუმატებლობა აღიარონ. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს სჭირდებათ იმისთვის, რათა ამომრჩევლის ის ნაწილიც კი არ დაკარგონ, რომელიც აქამდეც რაღაცნაირად ჰყავთ შემორჩენილი.**

**„გარდა ამისა, ამ პოლიტიკურ ძალებს დასავლეთთან მჭიდრო კონტაქტები აქვთ. ვინ ვისი უფროსია და ვინ ვის რას კარნახობს, ეს უკვე ცალკე თემაა. ლობისტებიც ჰყავთ, იქიდანაც რაღაცას ავალებენ. ესენიც აქედან სთხოვენ, რომ იქნებ, ვიზალიბერალიზაცია გაუუქმოთ მთელ მოსახლეობას, რომ მერე იქიდან იხუვლოს ხალხმა და იქნებ, როგორმე ხელისუფლებაში ასე მაინც მოვიდეთ და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც გინდათ და რაც საჭიროა. თუმცა, აქ მაინც საელჩოები მუშაობენ და ევალებათ ინფორმაციის მიწოდება. აქაური ელჩები კარგად ხედავენ, რა სიტუაციაც არის.**

**მით უმეტეს, ახლა, უწმინდესის გასვენების ამბებმაც ნათლად აჩვენა, რომ როცა ხალხს უნდა და ხალხის ნებაა, ის ყოველგვარი მოწოდების, ორგანიზების გარეშე ქუჩაში თავად გამოდის. ვიცით, რომ ამ ხალხისთვის არავის არაფერი მოუწოდებია, არც ხელისუფლებას გამოუყენებია რაიმე რესურსი იმისთვის, რომ ხალხი ქუჩებში გამოსულიყო, მაგრამ როცა საზოგადოებამ ასე საჭიროდ ჩათვალა, ის გამოვიდა. ამიტომაც ეს რეალობაც დაინახეს და მიხვდნენ, რომ ქართველი კაცის ხასიათში დევს ეს თვითორგანიზებულობა და მას იძულებით ვერც გამოიყვანენ და ვერც სახლში დარჩენას ვინმე უბრძანებს. შესაბამისად, ესეც ძალიან კარგი ტესტი იყო ამ პოლიტიკოსებისთვის“**, — ამბობს ანალიტიკოსი.

### ტრამპის პრაგმატული პოლიტიკა და ხელისუფლების პასუხი

**რაც შეეხება იმას, სცალია თუ არა, ან აქვს თუ არა სურვილი ტრამპის ახალ ადმინისტრაციას ოპოზიციის მხარდასაჭერად, მამრაძე ამბობს, რომ ვხედავთ, ახლა ტრამპის პოლიტიკა როგორი პრაგმატულია. აშშ-ის პრეზიდენტს დიდად არ აღელვებს და არც ერევა სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში, თუკი ამერიკის ინტერესი არ არის ეკონომიკური და ან რეგიონული მნიშვნელობის.**

**„როდესაც პრეზიდენტი ტრამპი ვენესუელაში ეუბნება მადუროს მოადგილეებს, რომ თქვენ იყავით და მე სულაც არ მანაღვლებს თქვენი რეჟიმი, ოღონდ ნავთობის წილში ჩამსვითო, ამისთვის კი ოფშორულ ზონაში ანგარიშს ხსნის და რაც იქიდან ნავთობის ტანკერები მოდის, პირდაპირ ტრამპს შესდის. ახლა ჰორმუზის სრუტესთან დაკავშირებითაც აიათოლას ხელისუფლებას ეუბნება, რომ არაფერი მინდა თქვენგან, ოღონდ ტანკერების გადასახადზე წილში ჩამსვით და ჯარს და ავიაციას გავიყვანო. ამიტომ, რა თავისუფლების ხარისხი აქვს ამ ადამიანს, რომელიც საქართველოშია ჩამოსული, რთული სათქმელია“**, — ამბობს **მამრაძე.**

რაც შეეხება ხელისუფლების პასუხს, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს მტკიცე და ის ფაქტებსა და კანონის უზენაესობაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

**„როდესაც გეუბნებიან, რომ არჩევნები გაყალბებული იყო და ამ დროს ნამდვილად არ იყო; გეუბნებიან, რომ ე.წ. პოლიტპატიმრები გამოუშვი და მსგავსი არაფერი არსებობს, როცა ასეთი სიაა ჩამოწერილი, ხელისუფლების პოზიცია მტკიცე უნდა იყოს. არავითარი დათმობა და ამ ყბადაღებულ ცილისწამებას ფაქტებით პასუხი უნდა გასცეს. ეს ხელისუფლებას თავად დააზიანებს და მის ამომრჩეველში ნიჰილიზმს გააჩენს. ბევრი მეკითხება, სად არის ის დაპირება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აკრძალულიყოო. ესენი კიდევ აქეთ ერთიანდებიან და ისევ იმუქრებიან. ამიტომ, სჯობს, ხელისუფლებამ ამ მიმართულებით იფიქროს და უფრო თანმიმდევრული პოლიტიკა ჰქონდეს“**, — ამბობს **მამრაძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**






## ხელისუფალნო, იქნებ ინებოთ შემზარავი სიმართლით სავსე ამ წერილის წაკითხვა

# მართალი უკუნეთს ანათებს!

სამყაროს ჭკუა ხნავს და ჭკუა თესავს. საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში უშეცდომოდ მოქმედებენ; ქართველებს ღირსება დაგვიბრუნეს. მიხარია, როცა საქართველოში ახალგაზრდებს ქართველობა უხარიათ; ამაყობენ კულტურული, პოლიტიკური, სპორტული, ეკონომიკური წარმატებებით. შენდება და მშვენდება ჩემი ქვეყანა. ვინც ვერ ხედავს, ბრმაა. ტელევიზიით მოვისმინე, ბიძინას გაუნათლებელი ხალხია ხელისუფლებაშიო. მე, პირადად, გაკეთებული საქმეებით ვაფასებ ადამიანებს. გონებაში ის უჯრედები თუ არ მუშაობენ, რომლებსაც ცოდნის გადამუშავება ევალებათ, ცოდნა ორმოში ჩაყრილი ოქროა. ვიცნობ ასეთ ადამიანებს; ცოდნა დიდი აქვთ და ჭკუა – პატარა.

დღევანდელი ხელისუფლება ატარებს ქვეყნის სუვერენიტეტისთვის აუცილებელ, უზადო, პოლიტიკას. არ დაგვავიწყდეს, ვისთან გვაქვს საქმე. გასული სამ-ოთხი საუკუნის განმავლობაში ევროპული იმპერიები დედამიწის ყველა კონტინენტს სძარცვავდნენ. დარწმუნებული ვარ ეს იცით, მაგრამ არ ცდილობთ, გაიგოთ, რომ ადამიანის ბუნება გაღიმებით არ იცვლება; ძველი იმპერიები შორიდან იღრინებიან.

> უწოდე სნეულს სნეული;
> და გაგეცლება სნეულება!
> ლაო-ძი.



სახარება გვეუბნება: **„ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შიგნიდან კი მტაცებელი მგლები არიან“.**

ევროპაში დემოკრატია რომ არ არსებობს, ამას დღეს ამერიკის ხელისუფლებაც ამბობს. ლიბერალებს თავისუფლების მრუდე დეფინიცია აქვთ დამუშავებული და ადამიანს არ არის მორგებული (მაპატიეთ, მსგავს საკითხებზე ფაქტების გარეშე არ ვსაუბრობ ხოლმე დღეს, ამ წერილს, სხვა დანიშნულება აქვს და თქვენი ნებართვით, გავაგრძელებ): **ლიბერალურ თავისუფლებას, შეიძლება, ცხოველური თავისუფლება ვუწოდოთ: ის ადამიანს ადამიანობიდან ათავისუფლებს.**

ლამაზი სიტყვაა თავისუფლება. ჭეშმარიტების დასადგენად ცნების არსში ღრმად ჩახედვაა საჭირო, რათა ლამაზი სიტყვებით, ხიბლში არ ჩავვარდეთ. იდეოლოგიურ ზომბებსა და ფულზე გაყიდულებს სიღრმეებში ჩახედვის უნარი არ გააჩნიათ. გონება წართმეული აქვთ და დაჭყეტილი თვალებით ერთხელ შთაგონებულ სიტყვებს იმეორებენ. კამათისას შეუბრუნეთ სიტყვა და დაინახავთ, როგორ შეეცდებიან ნაცნობ რელსებზე დაბრუნებას. ცოტაოდენი იმედიც რომ მქონდეს, ვურჩევდი ეროვნულ ხელისუფლებას მხარში დაუდექით, მტერი გააწბილეთ-მეთქი, მაგრამ... სიტყვა – **„მტერი“ გეხამუშებათ, არა**?!.. თქვენ იმ იდეოლოგიას ემსახურებით, რომელიც ერისა და კაცობრიობის მტერია. ამას ვერ გაიგებთ თუ არ დაფიქრდით და ვერ დაფიქრდებით, რადგან გონება იდეოლოგიურ ტყვეობაში გაქვთ.

წარმოიდგინეთ, ხალხს როგორ გაუხარდება, ხელისუფლება, პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ერთად შეეჭიდებით გამოწვევებს და თქვენს ბატონებს დამცინავად გახედავთ, **საცოდავები ხართ, როცა რამდენიმე ელჩს, ევროპიდან, უთავმოყვარეოდ, ცუნცულით უკან დაჰყვებით.**

**სხვის ომში გევრჯერ გვიომია, მაგრამ ნეოლიბერალური ევროვისთვის თავის გაწირვა, ღმერთის, ერისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, რადგან მათი იდეოლოგია ანტიღვთიური, ანტიეროვნული და ანტისაკაცობრიო მოვლენაა. უკრაინის მაგალითი სახეზეა და გონებრივად ბეცი ადამიანი ჭეშმარიტებას ვერ ხედავს.**

**რამდენიმე დღის წინ, ტელევიზიით დებატებისას, იდეოლოგიური ტყვეები ისევ ნატოში შესვლაზე და ევროკავშირის მიერ ჩვენს დაცვაზე საუბრობდნენ. ისტერიული შიში, რუსეთისა, ევროპას თავზარს სცემს. უკრაინას ამოფარებულები უკრაინაში მშვიდობის დამყარებას ეწინააღმდეგებიან, რადგან სხვისი ხელით ნარის გლეჯა უმტკივნეულოა.**

უკრაინა და საქართველო ყოველთვის ევროპის აღმოსავლეთით იქნებიან. აღმოსავლეთით არის რუსეთიც და ჩინეთიც, რომლებსაც ევროპა მტრებად მიიჩნევს. ევროპას ფარად ვჭირდებით რუსეთთან ომის დროს. უფლება არავის აქვს, საზარბაზნე ხორცად გვაქციოს. ვერც რუსეთი და ვერც ჩინეთი საქართველოსა და უკრაინას თავზე ვერ გადაახტება. ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა ამერიკის ინტერესშიც უნდა შედიოდეს, ევროპისაც, რუსეთისაც და ჩინეთისაც! მივმართავ ლიბერალებს: **რუსეთით ქართველების შეშინებას თავი დაანებეთ. რუსეთმა თუ ომი დაგვიწყო, არც ერთი ევროპელი თითს არ გაანძრევს, ამის მაგალითები გვაქვს. მიმაჩნია, რუსეთს საქართველო დამოუკიდებელი უფრო სჭირდება, იმედია ამას რუსები აცნობიერებენ.**

**გამარჯვებული კაცი თავდახრილი ვის უნახავს? უკრაინას შეეძლო, გამარჯვებული ყოფილიყო. უბრალოდ, ეროვნული ინტერესებით მოქმედება იყო საჭირო და არა – იდეოლოგიური მიზნებით.**

პუტინი რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ვინც უკრაინა ასაოხრებლად გაიმეტა, უკრაინის მტერი ის არის. ნატოში მიღების ძახილით გაბრუებულ ხალხს საღი აზროვნების უნარი დაეკარგა. უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღება დასავლეთის ინტერესებში არ შედიოდა. ისე ჩაგვაბეს რუსებთან ომში, მათ გულწრფელობაში ეჭვი არ გაგვჩენია. რატომ? სულელები ვართ? – **იდეოლოგიურ ზომბებს ერთი უბედურება სჭირთ: პატრონებს უარს ვერ ეუბნებიან. უკრაინელმა ლიბერალებმა სამშობლო მაიდანზე გაწირეს, იმედი მაქვს, საქართველო „რუსთაველზე“ არ ჩამოიხრჩობს თავს.**

**„ქართულმა ოცნებამ“ პროცესი უნდა დაასრულოს; სუვერენულ სახელმწიფოთა შორის საქართველოს ღირსეული ადგილი დაუმკვიდროს. მე ვერ ვხედავ, სხვა, მზაობაში მყოფ პარტიას, ამ მისიის შესრულება რომ შეეძლოს. ხელისუფლება, ვინმეს მახათივით თუ ესობა თვალში, უნდა მოითმინოს.**

საგარეო პოლიტიკაში ხელისუფლების წარმატებამ არ უნდა გადაფაროს შიდა პოლიტიკაში წარუმატებლობა. მლიქვნელის სიტყვა ხელისუფლებას მრუდე გზაზე შეაყენებს, ხოლო მართალი კაცის სიტყვა მათრახია, რომელიც არავის სიამოვნებს. ოცდახუთი საუკუნის წინ ლაო-ძი წერდა:

**ჭეშმარიტი სიტყვა არ არის ლამაზი,**
**ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი.**

არადა... მლიქვნელის ენის ლაქუცი ხელისუფალთათვის სასიამოვნოა, თუმცა, გემის ჩაძირვისას მლიქვნელნი პირველები გარბიან.

* * *

სახელმწიფოს შიდა საქმეებში ბევრი რამ დამალული და დაფარულია. რა გემართებათ, თქვე ოჯახაშენებულებო, კაცი ერთხელ მოდის ქვეყანაზე და ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული **ხელისუფალთა და მათთან დაახლოებულ პირთა მოგერიებაში ვარ**. აქაოდა იგებსო, სასამართლოებსაც აღარ ატარებენ; რვა წელი მოსამზადებელი სხდომა არ ჩატარებულა. ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც ბატონ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წართმეული ქონება, მისივე ხელისუფლების დროს სასამართლოთი დავიბრუნე. ყველა ხელისუფლება მებრძოდა იმიტომ, რომ რაღაც მეც გამაჩნდა.

**ბატონ ბიძინა ივანიშვილს მინდა მივმართო:**

**ბატონო ბიძინა, ჩემი ქონება თქვენს ქონებასთან რა მოსატანია, მაგრამ გამოცდილი გაქვთ, რა მტკივნეულია, როცა უსამართლოდ რაღაცას გართმევენ. ისევ თქვენი გარემოცვიდან ვიცი, ჩემს შესახებ ტყუილი ამბები მიჰქონდათ.**

ისიც მითხრეს, რომ ცრუ დასმენისთვის ვილაცეებს ეჩხუბეთ კიდეც, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეიცვალა.

მთავარი ღირებულება ადამიანია; არც ერი არსებობს ადამიანის გარეშე, არც საზოგადოება და არც სახელმწიფო.

ისევ ლაო-ძის შეგახსენებთ:

**„მარადისობის შემცნობი უწმიდეს სულს ფლობს. უწმიდესი სულის მფლობელი სამართლიანობას ფლობს. სამართლიანობის მფლობელს ხელმწიფება ხელეწიფება“.**

# ვაჰ, სოფელო!

სამშობლოს სუვერენიტეტისთვის ზრუნვა კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ ადამიანების გარეშე, სამშობლო, უბრალოდ, მიწაა. იქ, სადაც ადამიანს ფასი აქვს, უსამართლოდ არ ექცევიან. მხოლოდ ჩემს თავზე გადამხდარ ამბავზე ვისაუბრებ, რადგან რასაც ვიტყვი, ვიცი რომ ცამდე მართალია:

* * *

**ვიღაცას ჩემი საწარმოს გაჩერება მოუნდა, კანონიერი საფუძველი ვერ მოუძებნეს, ამიტომ არაკონსტიტუციური საფუძველი შექმნეს; ადმინისტრაციული კოდექსის 57' მუხლში შეიტანეს ცვლილება; ინერტული მასალის დატაცებისთვის 1000-1500 ლარის ჯარიმის გადახდის ნაცვლად, „დანაშაულის იარაღის“ კონფისკაცია დაადგინეს. დანაშაულის იარაღი ძვირად ღირებული კატერპილერის მარკის ექსკავატორია.**

ის წაართვეს და გამიყიდეს. ერთი კუბი ქვიშა-ხრეშის ამოღების გამო, რისი ფასიც იყო ოცი თეთრი. დარჩენილი ტექნიკა დალუქეს. შედეგი დადგა, სახელმწიფო სამსახურებმა დავალება პირნათლად შეასრულეს – პარლამენტიდან დაწყებული გარემოს ზედამხედველობის სამსახურამდე. ჯერი სასამართლოზე მიდგა, მცხეთის სასამართლომ ერთი კუბი ქვიშა-ხრეშის დატაცების გამო დამაკისრა 1500 ლარის ჯარიმის გადახდა; რაც იმავე დღეს გადავიხადე, იმიტომ, რომ ტექნიკაზე ლუქები აეხსნათ და მასალის გადამუშავება დამეწყო. ლიცენზიით შეძენილი რაოდენობიდან დარჩენილი იყო 50000 კუბ.მ. ინერტული მასალა და დრო ამოღებისა რვა თვე მქონდა. მეორე დღესვე გარემოს ზედამხედველობის სამსახურის მიერ ახალი სარჩელი შევიდა ზემდგომ ინსტანციაში, ექსკავატორის კონფისკაციის მოთხოვნით. გამჭრიახმა მოსამართლემ შონიამ თავისი დიდი გონებრივი შესაძლებლობით ჯარიმის გადახდით დანაშაული მაღიარებინა. რაც შემდგომი ინსტანციის მოსამართლეს გამოადგა; თუ ექსკავატორი შენი დავალებით არ მოქმედებდა, ჯარიმა რატომ გადაიხადეო.

**საბოლოოდ, გადაწყვეტილებას, უზენაეს სასამართლოში, მოსამართლე მურუსიძემ დაარტყა ბეჭედი და ოცთეთრიან ზარალში 1500 ლარიც გადამახდევინეს და 54000 დოლარად ნაყიდი ექსკავატორიც. აღტაცებული დავრჩი მოსამართლეების მხრიდან სახელმწიფოზე ზრუნვით. რა გაუჭირდება ჩემს ქვეყანას ამ მოსამართლეების ხელში? ნეტა, იმათ ტვინში ჩამახედა! თავმოყვარეობა იციან რა არის?... დადგენილებაში მურუსიძეს იმდენი მუხლი აქვს ჩამოთვლილი, მუხლებმა კანკალი დამიწყო, ვიფიქრე ჩუმად დახვრეტის მუხლიც ხომ არ მიიღეს, შვილიშვილებთან გამოთხოვების უფლება მაინც მომცენ-მეთქი. რა ვქნა, სახუმაროდ სად მცალია, მაგრამ საკეთებელიც რომ არაფერი დამიტოვეს!..**

ყურადღება მიაქციეთ, ბატონებო, კანონში შეტანილი ცვლილებით რა უსამართლობა და უთანასწორობა დააკანონეს. სახელმწიფოზე ოცი თეთრის ზარალის მიყენების გამო მე 54000 დოლარის ღირებულების ექსკავატორი წამართვეს და თუ ვიღაც ტყეში, ცულით, ათასი ლარის შეშას მოსჭრიდა, იმას ცულს წაართმევდნენ! წარმომიდგენია იურისტები, პარლამენტში რა საცოდავად გამოიყურებოდნენ, როცა ასეთი დავალება მიიღეს...

**რუსი მმართველებივით ნუ მოიქცევით, მეგობრებო, რომლებისთვისაც რუსეთი ღმერთია, ხოლო რუსი ადამიანი – ჭიანჭველა. ქართველები ჭიანჭველები ვერ ვიქნებით, როცა მოგინდებათ, ფეხით გაგვსრისოთ.**

* * *

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კანონში ცვლილება არაკონსტიტუციურად სცნო და ჩემი მოთხოვნით გააუქმა. ევროპის უფლებათა სასამართლომ სახელმწიფოს მოსთხოვა ექსკავატორის შპს „ბექანასისთვის“ დაბრუნება. მე წართმეული ექსკავატორის დაბრუნებას ვითხოვდი. შესაბამისმა სამსახურმა ყალბი საფუძვლით დაადგინა ექსკავატორის ღირებულება – 36000 ლარი.**

რატომ ყალბი? ექსკავატორი საწარმოს ეზოში იდგა, შესაფასებლად არავინ მოსულა. გარემოს ზედამხედველობის სამსახურის შედგენილ ოქმში მითითებულია, რომ ექსკავატორს წინა შუშა არ აქვს და სარკე გატეხილია. აგაშენათ ღმერთმა! დაზიანება ოქმიდან გადაუწერიათ და ფასი ექსკავატორისთვის ისე დაუდიათ, ლუქი არ მოხსნეს, ძრავი, ხიდები, ამწევ-დამწევი მექანიზმები არ შეუმოწმებიათ, საკუთარი სურვილით დაადეს ფასი – 36000 ლარი. ხომ გაგიგიათ, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო. მუშა მდგომარეობაში მყოფი ტექნიკა გამიყიდეს და ნაცვლად იმისა, იმავე წლოვანების ექსკავატორი გადმოეცათ, სასამართლომ საზურავების ფული მომცა. აფერუმ თქვენს სამართლიანობას!

**ვინც გაცოდვილდა მთელი ქვეყნის**
**ცოდვით,**
**გაწინამძღვრდა ცისქვეშეთში.**
**ვინც დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტანჯვით;**
**გამეუფდა ცისქვეშეთში.**
**ჭეშმარიტებას არ სჭირდება ღაღადი.**
**გვასწავლის ლაო-ძი.**

გავბედავ და დავამატებ; ჭეშმარიტება თავად ღაღადებს, ჩემი ბიძგი არ სჭირდება.

მეც ვიცი და – მოსამართლეებმაც, წარმოების გაჩერება სახელმწიფოს ინტერესში არ შედის. მაშ **პარლამენტმა რატომ შეიტანა კანონში არაკონსტიტუციური ცვლილება? სტრასბურგის სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს მოსთხოვა ეცნობებინათ, რა მიზეზით მოახდინეს ცვლილება კანონში. პასუხი იყო, აჭარაში ინერტული მასალის დატაცება ხდებაო. კანონი ერთ წელზე მეტ ხანს მოქმედებდა და ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ ჩემი საწარმო დაისაჯა. (ამის თქმის საფუძველი მაქვს). სახელმწიფო ინსტიტუტებში ადამიანები მუშაობენ? ასეთ ტყუილებს როგორ კადრულობენ? ადამიანობას ჩირის ფასი აქვს?**

სამართლიანობა თუ ფეხებზე გკიდიათ, გოდიში მაინც მომიხადეთ!

* * *

**ესე ამბავი „საგმირო“ ამით არ დასრულებულა. ჩემი წარმოების გაჩერებამდე, ქვიშა-ხრეშის გარეცხვის შედეგად გროვდებოდა თიხისა და ლამის ნარჩენი. ტექნიკურ უნივერსიტეტში ლაბორატორიული კვლევისთვის ნარჩენი გამოვწვით და აგურის საწარმოებლად ვარგისი გამოდგა. დამატებითი კვლევისთვის თიხისა და ლამის ნარევი თურქეთში, იზმირის აგურის ქარხანაში გავგზავნე. მივიღე პასუხი, რომ აგურის საწარმოებლად მასალა საუკეთესო იყო.**

შევაგროვე საჭირო დოკუმენტები და მივმართე ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, ავუხსენი, რომ მცხეთის რაიონში ვფლობ ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელ საწარმოს, სადაც მიგროვდება დიდი რაოდენობით ნარჩენი, რითიც შესაძლებელი იყო აგურის გამოწვა. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამაში ჩამსვეს, დამპირდნენ იაფ ფულს, რასაც ამ პროგრამით ყველას აძლევდნენ, ხელშეკრულება გავაფორმეთ, წარმატებები მისურვეს და გამომიშვეს... პირველი დარტყმა ის იყო, რომ ფული ვერ მივიღე. ფინანსურად მთლიანად დამოკიდებული აღმოვჩნდი ჩემი საწარმოს შემოსავლებზე. მშენებლობის ვადა დავარღვიე, დრო გამიგრძელეს, და პირველი ეტაპის სამუშაო დავასრულე, მაგრამ მოხდა ის, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, **კანონში არაკონსტიტუციური ცვლილების შეტანით დანაშაული გაითამაშეს, ერთი კუბი ინერტული მასალა ამოაღებინეს ექსკავატორის მძღოლს, აქტი შეადგინეს და ტექნიკა დალუქეს.** მოქმედი წარმოება გააჩერეს. ბანკებმა სესხის დაბრუნება მომთხოვეს. იძულებული გავხდი უძრავი ქონება იაფად გამეყიდა. აგურის ქარხნის მშენებლობა ველარ გავაგრძელე. მშენებარე ობიექტი წამართვეს, სადაც 500000 ლარამდე მქონდა დახარჯული. შპს „სამშენებლო კერამიკის“ ანგარიშიდან მოხსნეს და წაიღეს 130000 ლარი. ბატონებო, **შეგახსენებთ, რომ ოცი თეთრის გამო ხდება ჩემს თავს ეს ამბავი. ოცი თეთრის ინერტული მასალის დატაცება ჩემს ინტერესში ვერ იქნებოდა, რადგან 50000 კუბი ლიცენზირებული ტერიტორიიდან ამოსაღები მქონდა, რომელიც ტექნიკის დალუქვის გამო დავკარგე. წარმოებამ, მაშინდელი ფასებით, 700000 ლარის შემოსავალი დაკარგა.**

საგაზეთო პუბლიკაციისთვის საკმაოდ ვრცელი მასალა დაგროვდა. შეძლებისდაგვარად ვცდილობ შემოკლებას, მაგრამ უამრავი დეტალია, საიდანაც ჩანს, რომ ყველაზე დიდ ღირებულებებს, ადამიანსა და სამართლიანობას ფასი დაკარგული აქვს. რვა წელია სარჩელი შეტანილი მაქვს სასამართლოში და პროცესს არ იწყებენ. რა ვქნა, ვიტირო თუ ვიცინო?

**ლაო-ძი ამბობს:**
**„ოდეს არსება უმაღლეს ძლიერებას**
**აღწევს**
**სუსტდება და ხრწნა ეუფლება“.**

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გახანგრძლივება, ზემოთ მითითებულ მიზეზთა გამო, მე თავად მსურს და არ მინდა მათი ხრწნა ვიხილო, მაგრამ ორი ქარხნის გაჩერებით, ამ რვა წელში, მე და სახელმწიფომ რამდენი ზარალი ვნახეთ, აინტერესებს ვინმეს? ზონს მოდით, ძმებო, თქვენი საქართველო ჩემი არ არის?!.. რამდენჯერ დავიწყო ყველაფერი თავიდან?**

სახარება გვეუბნება: „მაშ, იყავით სრულყოფილნი, ისევე, როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი, რათა იყოთ თქვენი ზეციური მამის ძენი, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართალსა და უსამართლოს“.

და... ბოლოს, მინდა მივმართო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, ბატონ **მამუკა მდინარაძეს:** ბატონო მამუკა, თქვენ ახალი მოსული ხართ მაგ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ჯერ არ გაგონილ ჩემს ამბებთან ვერანაირად დაგაკავშირებთ, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს, თქვენი სამსახური ხელს ნუ შეუწყობს ახალგაზრდების ზნეობრივ დეგრადაციას! კომუნისტების დროს სოფელში სულ ორი-სამი კაცი იყო დამსმენი. დღეს მომრავლდნენ ასეთი კაცები. ძმა ძმას აღარ ენდობა, მეგობარი – მეგობარს, ნათესავი – ნათესავს, მეზობელი – მეზობელს. საქართველო რად გვინდა, თუ ზნედაცემული ახალგაზრდობა გვეყოლება? ადამიანებს შორის უნდობლობა ბედნიერი საქართველოს საწინდარი ვერ იქნება. წლების მანძილზე, თითქმის, ყოველ დღე, პირშიშველი ბიჭები მანქანებით ჩემს ეზოსთან იდგნენ, დამენახებოდნენ და წავიდოდნენ. ეს დაშინების ერთ-ერთი მეთოდია. დაშინებული საზოგადოება საბჭოთა კავშირის დროს გვყავდა. ყველამ ერთად ხომ უარი ვთქვით იმ საზოგადოებაზე? რატომ მირეკავდნენ და დუმილით ცდილობდნენ ჩემ შეშინებას? ზოგი მხვდებოდა კიდეც და ჩემს დასანახად ფოტოებს მიღებდნენ. პატრიოტი კაცი ბრძანდებით, მიხედეთ ამ საქმეს! სუსმა ჩემნაირი კაცის დევნაზე დრო რატომ უნდა დაკარგოს, როცა ქვეყანაში ამდენი გამოწვევაა? სახარება გვეუბნება: „სხეულის სანთელი თვალია, ჰოდა, თუ თვალი შენი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი იქნება“. შეიტანეთ უსაფრთხოების სხეულში ნათელი, რათა სამშობლოს ემსახუროთ და არა – ქორებს, რომლებიც სხვის წიწილებზე არიან დაგეშილები!

* * *

**ერთმა კეთილმა ადამიანმა მითხრა, რაღაც, ახალ სიყალბეს გიმზადებენ, ფრთხილად იყავიო. დათა თუთაშხიასი არ იყოს, „სიფრთხილე არ მაკლია მე“. ჩემი დამცველი ამ ქვეყანაში მხოლოდ ღმერთია. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც ისურვებდით ასეთ დამცველს, მაგრამ ღმერთს ერთი პირობა აქვს, მართლები უნდა იყოთ.**



**ჯუმბერ სარდლიშვილი**

## რედაქციისგან:

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ იცის რა ჯუმბერ სარდლიშვილის „ჩაგვრის“ უდღეური მცდელობა, ბოლომდე მხარს უჭერს მას, როგორც შესანიშნავ ჟურნალისტს, მწერალს, ქვეყნისთვის თავდადებულ კაცს და გულითადად სთხოვს ხელისუფლებას, ნუ დაჩაგრავთ მას!**



## ქვეყნის აღმშენებელი

### იუზა უგულავა 90

**დღეს 1 აპრილს 90 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ პიროვნებას, საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, ბატონ იუზა უგულავას.**

იუზა უგულავა დაიბადა 1936 წელს ხონში. 1960 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1960 წელს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მშენებელი ოსტატის თანამდებობიდან გაიარა საფეხურები N2 საამშენებლო ტრესტის N8 საამშენებლო სამმართველოს უფროსამდე.

1968 წლიდან 1972 წლამდე მუშაობდა ამავე სამინისტროს ჯერ მე-18 სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინრად, შემდეგ 1972-77 წლებში რუსთავის სახლმშენებელი კომბინატის დირექტორად.

1978-1994 წლებში იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფრინველეობის სამრეწველო გაერთიანების უფროსის მოადგილე და მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორი.

1994-2008 წლებში იგი მუშაობდა ქ. ფოთის ნავსადგურის ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის უფროსად.

2009-2020 წლებში საქართველოში მსოფლიო ბანკის რეგიონალური მშენებლობის ხელმძღვანელის მრჩეველი და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განსახორციელებელი მრავალი მშენებარე ობიექტების ზედამხედველია.

დიდია ბატონ იუზას ღვაწლი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა თბილისის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, ონკოლოგიური საავადმყოფო, კინოსტუდია დიღომში, ფოსტა-ტელეგრაფის შენობა რუსთაველის გამზირზე, სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „მიონის“ შენობა, შრომის სასახლე (დღევანდელი მერიის შენობა). სასტუმრო „აჭარა“ და სხვა.

მისი ობიექტები გამოირჩეოდა არქიტექტურული და კონსტრუქციული სირთულით, რასაც თავისი მაღალკვალიფიციური ცოდნით წარმატებით ართმევდა თავს.

იგი გახლდათ რეფორმატორი და ნოვატორი, როგორც საამშენებლო საქმის წარმოებაში ისე დოკუმენტაციისა და საფინანსო მასალების შედგენაში.

ზრუნავდა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრულყოფისათვის, რათა შესაბამისი ანაზღაურება მიეღოთ დასაქმებულ პერსონალს.

ვულოცავთ ბატონ იუზას ამ ღირშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის და მისი ოჯახის საკეთილდღეოდ.

ვეტერან მშენებელ
მეგობართა სახელით –

**ნოდარ თოფურია, ვაჟა ნადირაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ომარ კიკნაძე, ანზორ ჩოგოვაძე, ვაჟა ვაშაკიძე, დავით დოლონაძე, ნუგზარ ვორონოვი, ვილი კასრაძე, გივი გორგოშიძე**




# დონალდ ტრამპი „თავისუფლების კუნძულს“ ცუდად ეკურკურება

**კუბაში მდგომარეობა დღითი დღე მძიმდება. შეერთებული შტატების ნავთობის სამთვიანი ბლოკადის შედეგად, ვითარება ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზეა. შეგახსენებთ, წლის დასაწყისში, მადუროს დაკავების შემდეგ, ტრამპის ადმინისტრაციამ კუბაზე პოლიტიკური ზეწოლა დაიწყო. ჯერ ვენესუელას და მექსიკას აუკრძალა კუბისთვის ნავთობის მოწოდება, შემდეგ, თავად მოაქცია კუბა ბლოკადაში. კუბაში კომუნისტური რეჟიმის შეცვლა შეერთებული შტატების არაერთი ადმინისტრაციის დიდი ხნის ოცნება იყო და ახლაც ასეა. კუბის მიმართ ტრამპის პოლიტიკის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ამერიკის სახელმწიფო მდივანი, მარკო რუბიო გახლავთ, რომელიც კასტროს რეჟიმისგან გაქცეული კუბელის ოჯახში გაიზარდა.**

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ რუბიოს კუბის კომუნისტური რეჟიმის დამხობა სურდეს. მადუროს დაკავების წარმატებულმა ოპერაციამ თეთრ სახლს კუბაში რეჟიმის შეცვლის პერსპექტივა დაანახა, მით უმეტეს, რომ დღეს კუბის დასახმარებლად არავის არ სცალია. ადრე, კუბას რუსეთი, ვენესუელა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები ეხმარებოდა. ახლა, ყველა გაჩუმებულია. კუბაში კი, ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისია. კუნძულზე, საწვავის მწვავე დეფიციტია. მთავრობა საგანგებო რეჟიმში მუშაობს. ამასწინათ, მთელს კუნძულზე, ენერგომიწოდება შეწყდა და კუბა წყვდიადმა მოიცვა. მანამდე, კუბის ერთ-ერთ ქალაქში, გამწარებულმა მოსახლეობამ კომუნისტური პარტიის საქალაქო ოფისი დაარბია. ქვეყანაში ყაჩაღობამ და ვანდალიზმმა იმძლავრა. კრიზისმა კუბის ხელმძღვანელობა კედელთან მიაყენა. გამოსავალი კი, არ ჩანს. ამიტომ, კუბამ ტრამპის ადმინისტრაციასთან კულუარული მოლაპარაკება დაიწყო. მანამდე, კუბის მთავრობამ, ვატიკანის შუამავლობით, 51 პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა.

**საინტერესოა, რომ ამ გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებაში აქტიურად მონაწილეობენ კასტროს კლანის წევრები. მაგალითად, მექსიკაში, რაულ კასტროს შვილი, გენერალი ალეხანდრო კასტრო ესპინი ამერიკის დაზვერვის მუშაკებს შეხვდა. კუბის პრეზიდენტმა აღიარა, რომ კუბასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. ამ განცხადებას რომ აკეთებდა, კუბის პრეზიდენტს, გვერდით, რაულ კასტროს შვილიშვილი, რაულ გილერმო როდრიგეს კასტრო ედგა. როგორც ამერიკის პრესამ გაარკვია, მოლაპარაკებას სწორედ ის ხელმძღვანელობს. კასტროს კლანის ეს 41 წლის წევრი, რაულ კასტროს შვილის, დებორას და გენერალ ლუის ალბერტო როდრიგეს ლოპეს კალეხას ვაჟია, რაულ კასტროს საყვარელი შვილიშვილი. მისი კარიერა რაულ კასტროს ხელში განვითარდა. ჯერ პაპამისის დაცვის უფროსი იყო. მერე, კუბის ეკონომიკის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. მას, მოფერებით, რაულიტოს ეძახიან. რაულიტო კასტრო და კასტროს ახალგაზრდა კლანის სხვა წევრები კომუნისტური იდეოლოგიისგან შორს არიან.**

მათი აზრით, ძალაუფლების შესანარჩუნებლად, კუბის ხელმძღვანელობა ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ნაკარნახევ ზოგიერთ რეფორმას უნდა დათანხმდეს. მაგალითად, მრავალ პარტიულობის, კერძო საკუთრებისა და ეკონომიკაში უცხოური კომპანიების დაშვებას. მეორე მხრივ, ამერიკაში მცხოვრები კუბელი ემიგრანტებისთვის, მიუღებელია კასტროს კლანის ხელისუფლებაში დარჩენა, მაგრამ, როგორც ვენესუელის ამბებმა აჩვენა, ტრამპისთვის სულერთია, ვინ წაუძღვება კუბას. მისთვის მთავარია, კუბის ხელმძღვანელობა მის ადმინისტრაციას დაემორჩილოს. თავად ტრამპი კუბის ამ მძიმე მდგომარეობით ძალიან გახარებულია. კუბა მალე დაეცემა. ეს ჩემი ჩარევის გამო ხდება. ცხადია, წინააღმდეგობა რომ არ გაეწიათ, მათ ეს პრობლემა არ ექნებოდათ, განუცხადა ტრამპმა ჟურნალისტებს.

კუბის პრეზიდენტმა, მიგელ დიას კანელმა კი თქვა, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, გარეშე ძალას ქვეყანა ძლიერ წინააღმდეგობას გაუწევს. ჯერჯერობით, კუბელები ტრამპის წნეხს უძლებენ და იმედოვნებენ, რომ იარაღის ხელში აღება არ მოუწევთ. კუბელების ოპტიმისტურ განწყობაზე იმანაც იმოქმედა, რომ რუსეთმა მათი დახმარება გადაწყვიტა და საწვავით სავსე ორი ტანკერი გაუგზავნა. ერთი, სახელად Sea-Horse, ჰონკონგის კუთვნილებაა და 27 ათასი ტონა რუსული თხევადი გაზით, ხოლო მეორე ტანკერი, სახელად Анатолий Колодкин, 730 ათასი ტონა რუსული ნავთობითაა დატვირთული. ორივე ტანკერმა, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში უნდა მიაღწიოს კუბის ნაპირებს.

**ამერიკული მასმედია ყველაფერ ამას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან, ტანკერების გაგზავნიდან ცოტა ხანში, ტრამპის ადმინისტრაციამ კუბა იმ ქვეყნების სიაში შეიყვანა, რომელთაც რუსული საწვავის მიღება ეკრძალებათ. ახლა, ვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები!**

# ...თუ დაემხო ირანის რეჟიმი, ვინ იქნება შემდეგი?!

**იმ შემთხვევაში, თუ ხამენეის მმართველობა დაემხობა, ვინ ჩაანაცვლებს რეჟიმს? აი, შეკითხვა, რომლის პასუხი, დღეს, მთელს მსოფლიოს აინტერესებს. დასავლეთში ირანულ დიასპორას, ერთმნიშვნელოვნად სურს, რომ ახალ ირანს მისი უკანასკნელი შაჰის ვაჟი, რეზა ფეჰლევი ჩაუდგეს სათავეში. ფეჰლევების დინასტია ირანს 1925-79 წლებში მართავდა, რომელიც რეზა ხან ფეჰლევიმ დააფუძნა. ის სპარსულ თურქულენოვან ოჯახში დაიბადა. ამბობენ, დედამისი აზერბაიჯანული წარმოშობის ქალი იყო საქართველოდან. ახალგაზრდა რეზას სამხედრო კარიერა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადაში დაიწყო. ჯერ, ბრიგადას მეთაურობდა, შემდეგ დივიზიას. 1921 წელს, ქვეყნის შიდა არეულობით ისარგებლა და თეირანი აიღო. სპარსეთის მაშინდელმა შაჰმა, აჰმედ შაჰ ყაჯარმა ის თეირანის სამხედრო გუბერნატორად და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, 1923 წელს კი, პრემიერ-მინისტრად დანიშნა.**

ორი წლის შემდეგ, რეზა ხანმა სპარსეთის შაჰი, აჰმედ ყაჯარი დაამხო, თავი მონარქად გამოაცხადა და დინასტიის გვარად ფეჰლევი აირჩია. რეზა ფეჰლევი ოთხჯერ იყო ქორწინებაში. სხვადასხვა ქალისგან, ათი შვილი ეყოლა. 1926 წელს რეზა ფეჰლევიმ, ტახტის მემკვიდრედ, მისი ექვსი წლის ვაჟი, მოჰამედ რეზა ფეჰლევი გამოაცხადა. მეორე მსოფლიო ომის დროს, რეზა ფეჰლევი პროგერმანული პოლიტიკის მიმდევრი იყო, რაც საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის ხელმძღვანელობას არ მოსწონდა. გახსოვთ, ალბათ, რომ, მათ, ერთობლივი სამხედრო ძალისხმევით, ირანის ანექსია და რეზა ფეჰლევის გადადგომა შესძლეს. მის ნაცვლად, ტახტზე მისი შვილი, მოჰამედ რეზა ფეჰლევი ავიდა. 1925-38 წლებში, მოჰამედ რეზა ფეჰლევი სპარსეთისა და შვეიცარიის სასწავლებლებში იღებდა განათლებას. მანამდე, მან თეირანის ოფიცერთა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა.

**თავდაპირველად, ახალგაზრდა შაჰი ქვეყნის მართვაში ნაკლებად მონაწილეობდა. ქვეყანას, ძირითადად, ირანის საკანონმდებლო ორგანო, მეჯლისი მართავდა. ამერიკელ, ბრიტანელ და საბჭოთა პოლიტიკოსებს ის გამოუცდელ და გაუბედავ კაცად მიაჩნდათ და, დიდად პატივს არ სცემდნენ. ისტორიული ფაქტია, რომ 1943 წლის თეირანის კონფერენციის დროს, შაჰი სამივე ქვეყნის ლიდერს პირადად ეწვია, მაგრამ, მიღებამდე, ის დიდხანს ალოდინეს, რაც ქვეყნის მეთაურისთვის შეურაცხმყოფელი იყო. 1949 წელს მასზე თავდასხმა მოაწყვეს, რის გამო, მან ირანში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, აკრძალა მემარცხენე პარტიები და ბევრ ოპოზიციონერს თავი ციხეში ამოაყოფინა. იმავე წელს, კონსტიტუციაში, ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვით, შაჰმა ფართო უფლებამოსილება მოიპოვა, მეჯლისის დათხოვნის ჩათვლით. მოჰამედ რეზა ფეჰლევისთვის, კიდევ ერთი დიდი გამოცდა, 1950-იან წლებში განვითარებული მოვლენები იყო.**




1953 წელს, ნავთობის მოპოვების ნაციონალიზაციის მოთხოვნით, რომელიც, მაშინ ბრიტანეთის ხელში იყო, ირანში დიდი მოძრაობა დაიწყო. შაჰმა ხელი მოაწერა შესაბამის კანონს და პრემიერ-მინისტრად პოპულარული პოლიტიკოსი, მოჰამედ მოსადიყი დანიშნა, რომელმაც, ბრიტანეთის მიერ ემბარგოს გამოცხადების გამო, შაჰს დაჟინებით მოსთხოვა მთავრობის მეთაურის უფლებამოსილების გაფართოება. შაჰი პრემიერის ამ კატეგორიულმა მოთხოვნამ დააფიქრა და ის გადააყენა, თუმცა, მოსახლეობის პროტესტის გამო, იძულებული გახდა, თანამდებობაზე დაებრუნებინა. შედეგად, შაჰისა და პრემიერის დაპირისპირება გამძაფრდა. ნავთობის მოპოვების ნაციონალიზაციამ ლონდონსა და ვაშინგტონში უკმაყოფილება გამოიწვია. ამერიკამ და ბრიტანეთმა მოჰამედ მოსადიყის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ამ მიზნით, შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა, ბრიტანელებთან ერთად, პრემიერის დამხობის ოპერაცია, სახელწოდებით, აიაქსი, შეიმუშავა.

**მოჰამედ მოსადიყის ყურამდე ეს ამბავი მივიდა და, შაჰის დასამხობად, საპასუხო ზომები მიიღო. მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ მოასწრო და თავი, ჯერ ბაღდადს, შემდეგ კი, რომს შეაფარა. მის მხარეს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ფეზლოლაზაჰედი დარჩა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ამერიკისა და ბრიტანეთის დახმარებით, შაჰის ერთგული გვარდიისა და არმიის მონაწილეობით, მოჰამედ მოსადიყის მთავრობა დაამხო. შაჰი რომიდან დაბრუნდა და ქვეყნის სადავეები დაიბრუნა. უფრო მეტიც, უფლებამოსილება კიდევ უფრო გაიფართოვა. 1957 წელს საიდუმლო პოლიცია, სავაკი შექმნა. მანამდე, ირანი სამხედრო ბლოკ სენტოს წევრი გახდა. 1960-იან წლებში, შაჰმა მსხვილი და რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები გაატარა, რომელიც ისტორიაში თეთრი რევოლუციის სახელით შევიდა. მთავრობამ, ნავთობის შემოსავლებით, მემამულეებისაგან მიწები გამოისყიდა და შეღავათიან ფასებში, გლეხებს დაურიგა. განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, აშენდა მოწინავე ტექნოლოგიით აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნები, გაჩნდა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, მეტალურგია და მანქანათმშენებლობა.**

**მოჰამედ რეზა ფეჰლევი სამჯერ იყო ქორწინებაში. პირველად, ეგვიპტის პრინცესა ფავზიასთან და, მეორედ, სორაია ისფანდიარისთან. ვერცერთმა ვაჟი მემკვიდრე ვერ გაუჩინა და, მანაც, მესამე ცოლი მოიყვანა, აზერბაიჯანული წარმოშობის ირანელი ფარაჰ დიბა. 1960 წელს, მათ ტახტის მემკვიდრე რეზა საირუს ფეჰლევი გაუჩნდათ. მემკვიდრის დაბადება ქვეყნისთვის ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა იყო.**

მაშინ ქუჩაში ათასობით ირანელი გამოვიდა. ტახტის მემკვიდრე მისივე სახელობის, რეზა ფეჰლევის კერძო სკოლაში სწავლობდა, რომელიც, იქვე, სამეფო სასახლეში იყო განთავსებული და მხოლოდ საიმპერატორო ოჯახისა და მეფის კარის თანამშრომლების შვილებისთვის იყო განკუთვნილი. პატარა რეზას პილოტად ზრდიდნენ. მისი პირველი დამოუკიდებელი ფრენა თერთმეტი წლის ასაკში შედგა და, ერთი წლის შემდეგ, ფრენის ლიცენზიაც მიიღო. 1978 წელს, პრინცი ფეჰლევი ამერიკის სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა. მალე, ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა. სახალხო აჯანყების სულისჩამდგმელი ირანელი შიიტი სასულიერო მოღვაწე რუჰოლა მუსავი ხომეინი გახლდათ, რომელიც ქვეყნიდან გაძევებული იყო. შაჰი იძულებული გახდა, ირანი დაეტოვებინა. ჯერ, ეგვიპტეს, მერე კი, სხვა ქვეყნებს შეაფარა თავი. ირანში მონარქია გაუქმდა. ფეჰლევების ოჯახი კი, სამუდამო ემიგრაციაში აღმოჩნდა.

დევნილი შაჰი, მალევე, 1980 წელს, ქაიროში გარდაიცვალა. რევოლუციის შემდეგ, ფეჰლევი-უმცროსმა მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების შესწავლა დაიწყო, მაგრამ, მამის ავადმყოფობის დროს, ქაიროში გაემგზავრა, ოჯახთან ერთად რომ ყოფილიყო. 1985 წელს, კალიფორნიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებებათა ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა. ირანის უკანასკნელი შაჰის გარდაცვალების შემდეგ, რეზა ფეჰლევი, მონარქისტებს შორის, გამორჩეულ ოპოზიციურ ფიგურად ჩამოყალიბდა და ემიგრაციული მთავრობის შექმნის პრეტენზია განაცხადა, თუმცა, საჯაროდ, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მონარქიის აღდგენას არ ცდილობდა. 1986 წელს, რეზა ფეჰლევი დიდგვაროვან ირანელ ემიგრანტზე, იასმინ ამინიზე დაქორწინდა, რომელთანაც სამი გოგონა შეეძინა.

**ოჯახი, საბოლოოდ, ამერიკაში დასახლდა. დღეს, ირანის უკანასკნელი შაჰის შთამომავლები სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, ძირითადად, ამერიკასა და ევროპაში. ისინი აღარ ფლობენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, თუმცა, ფეჰლევების გვარი, ირანელთა ნაწილისთვის, მნიშვნელოვან სიმბოლოდ რჩება. ზოგისთვის, ეს დაკარგული მონარქიის მიმართ ნოსტალგიაა, სხვებისთვის, ირანის ისტორიის წინააღმდეგობრივი, მაგრამ დაუვიწყარი ფურცელი...**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# უცხოელები ქართველთა სილამაზის შესახებ

**ზოგიერთ გერმანულ კოლონიაში სხვა ეროვნების თითო-ოროლა კაციც ცხოვრობდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ელენენდორფის, ეკატერინენფელდისა და ელიზაბეტტალის კოლონიები. ძირითადად მაღალი შობადობის გამო კოლონისტების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. (იხ. ცხრილი).**




მოგვიანებით შეიქმნა შემდეგი გერმანული კოლონიები: ალექსანდერსჰილფი წალკის მახლობლად. ნაიდორფი და გრანდერბერგი სოხუმთან ახლოს, გეორგფელდი, აიგენფელდი, გრიუნფელდი. ტაუბენფელდი და ფრაიდენტალი ძველი კოლონიების მახლობლად.

გერმანული კოლონიების მოწყობის საკითხს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მან ამისთვის სათანადო სახსრებიც გამოყო, კოლონისტებს მიეცათ შეღავათები გადასახადებში. ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით ისინი ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 1829 წელს სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულმა შავმა ჭირმა კოლონისტების რამდენიმე სოფელი საგრძნობლად დააზარალა.

კოლონისტების რაოდენობა 1817-1818 და 1886 წლებში

| კოლონიები | კოლონისტების რაოდენობა | |
|---|---|---|
| | 1817-1818 წლებში | 1886 წელი |
| მარიენფელდი | 181 | 396 |
| სოფელი კუკია | 200 | 793 |
| ალექსანდერსდორფი | 99 | 384 |
| პეტერსდორფი | 148 | 195 |
| ელიზაბეტტალი | 307 | 1148 |
| ეკატერინენფელდი | 350 | 1209 |
| ანანფელდი | 237 | 437 |
| ელენენდორფი | 501 | 1457 |

მთავრობამ მათ ისევ გაუწია დახმარება, მაშინ როდესაც ადგილობრივი მცხოვრებლები სრულიად უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. ხელისუფლება გერმანელი კოლონისტების განმანათლებლურ საქმიანობასა და მეურნეობის უკეთ მოწყობაზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №31–33, 36

1819 წელს გენერალი ერმოლოვი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კოზადავლევს წერდა: „მე ვფიქრობდი, რომ აქაურ მხარეს ისინი მისცემდნენ მაგალითს შრომისმოყვარეობისა, მეურნეობრივი კეთილმოწყობისა და ზნეობისა. პირიქით, კოლონისტებში უდიდესი ნაწილი მეტად უსაქმურია და ნაკლებად ზრუნავს ოჯახურ მოწყობილობაზე, ხოლო კიდევ უფრო მცირეა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთა ზნეობრიობა არ წარმოადგენს ყოვლად მავნე გარყვნილებას“. ისინი დროს უქმად აცდენენ აპოკალიფსის გარშემო კამათში, რასაც გადაყოლილნი არიანო.

ზუსტად ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორის ვაგნერი, რომელმაც 1843-1846 წლებში მოიარა კავკასიის ქვეყნები და საქართველოში გერმანული კოლონიებიც მოინახულა: **„გადასახადები, რასაც გერმანელი კოლონისტები ხაზინას უხდიან, ძალზე მცირეა, თვით ადგილობრივ მკვიდრთა გადასახადებთან შედარებით... რუსეთის მთავრობა გერმანელი კოლონისტების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და შემწყნარებლობას იჩენდა... ნოი-ტიფლისში ჩემი ჩამოსვლის ცოტა ხნით ადრე საქართველოს გამჭვირვალე ცაზე კომეტის გამოჩენამ სეპარატისტების აღგზნება საოცრად გაზარდა. ამ ხალხმა გადაწყვიტა სახლ-კარის მიტოვება და წასვლა იერუსალიმში სამყაროს თითქოსდა მოახლოებული აღსასრულის გამო...**

**შეკრებებზე ნოი-ტიფლისში, ალექსანდერსდორფსა და კატარინენფელდში დილიდან გვიანობამდე ლოცულობდნენ, გალობდნენ და უხამს სისულელეებს ყბედობდნენ... სამი საათის ყოფნის შემდეგ წამოვედი სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ შინაგანად შეწუხებული ამ საბრალო თანამემამულეთა საოცარი უგუნურებით“.**




საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1843 წელს გავრცელდა შემდეგი ცნობა: ღმერთი სეპარატისტთა სულიერი ხელმძღვანელის, მოხუცი ქალის, შპონის, მეშვეობით, მოითხოვდა იერუსალიმში გადასახლებას. შპონის წინადადებით მდიდარმა გერმანელებმა გაყიდეს ქონება და მათხოვრობით ირჩენდნენ თავს. მრავალმა გერმანელმა კიდევ თავი დაანება მუშაობას და იმდენს შრომობდა, რომ შიმშილით არ დაღუპულიყო. ხელისუფლების მიერ შპონისა და ლიდერების დაპატიმრების შემდეგ გერმანელთა ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რელიგიურ საკითხებზე დავის პროცესში ეკონომიკურად ჩამორჩენილმა, თბილისში დასახლებულმა კოლონისტებმა შეძლეს ხელობებში დაწინაურება და თავიანთთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა (პ. გუგუშვილი). თანდათანობით გერმანელმა კოლონისტებმა წარმატებებს მიაღწიეს ხელოსნობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. ეკონომიკური სიძლიერე შობადობის ამაღლებასაც უწყობდა ხელს. კოლონისტების მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე მაღალი იყო საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებთან შედარებით. 1865 წლის სანდო მონაცემებით, თბილისის გუბერნიაში კოლონისტების რიცხვი 6114 კაცს უდრიდა. რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოში 9405 გერმანელი ცხოვრობდა, მათ შორის თბილისის გუბერნიაში – 8340, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 1065 კაცი. გერმანელი მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობა თითქმის თანაბარი იყო – 4716 მამაკაცი და 4689 ქალი. შემდეგი 42 წლის განმავლობაში გერმანელთა რაოდენობა საქართველოში 2,2-ჯერ გაიზარდა და მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით 20,5 ათასი კაცი შეადგინა.




გერმანელი კოლონისტები კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. გერმანული ქალები ერიდებოდნენ ურთიერთობას სხვა ეროვნების ქალებთან. შერეული ქორწინებები მეტად იშვიათი იყო. გერმანელ მამაკაცს ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში უფლება ჰქონდა განსვენებული მეუღლის და ცოლად მოეყვანა.

საქართველოში მცხოვრები გერმანელები სხვა ეროვნების მიმართ მძაფრ ნაციონალიზმს ამჟღავნებდნენ, ქედმაღლობდნენ და საკუთარ თავს დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ. მათი აზრით, ყველა დანარჩენი ველურები იყვნენ. რუსებს განსაკუთრებული ეპითეტით ამკობდნენ ღორებად მოიხსენიებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც გერმანელების კლუბში სტუმრად მისული რუსი მოქალაქეები ცემა-ტყეპით გამოუსტუმრებიათ.

საარქივო მასალების გაცნობა მოწმობს, რომ გერმანელებს შორის მიმავალი გეგმებიც ჰქონდათ. „ამიერკავკასიის გერმანელთა კომიტეტს (მდებარეობდა თბილისში) სურდა შეექმნა სახელმწიფო სახელმწიფოში“. ა. სონღულაშვილის მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ გერმანელების მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე გერმანელთა ავტონომიური ოლქის შექმნა. ამ მიზნით ისინი გერმანიიდან საჭირო დირექტივებს და ფინანსურ დახმარებასაც იღებდნენ.

* * *

**ქართველი ხალხის ფიზიკური სილამაზის შესახებ მიუთითებენ თავიანთ ნაშრომებში გერმანელები კ. კოხი და ო. სპენსერი. კოხი იენის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ბოტანიკოსი – დენდროლოგი იყო. მან 1836 წელს იმოგზაურა აღმოსავლეთში. როგორც კ. კოხი ისე ო. სპენსერი, ერთდროულად მოგზაურობდნენ კავკასიასა და საქართველოში.**

### კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

**„გურული ქალები მეგრელებივით მრგვალი პირისახისა არიან და დიდრონი თვალები აქვთ. ლამაზი მანდილოსნები, თუმცა მაღლები არ არიან, მაინც ტანწერწეტები ჩანან. სახე ოვალური, სანდომიანი და სწორნაკვთიანი აქვთ. თვალები მოგრძო, ნუშისებური.“**

**„თურქულ ჰარამხანებში ქართველი ქალწულები თავისი სილამაზით ყველაზე მეტად ფასობდნენ და მათ ბერძენ გოგონებსაც კი ამჯობინებდნენ. ამავე დროს მათი ეშინოდათ, ვინაიდან ძალაუფლების მოყვარულნი იყვნენ. თუ ჰარამხანაში სხვადასხვა ეროვნების ქალი მოიყრიდა თავს, მათ შორის, როგორც წესი, ყველაზე მალე ყოველთვის ქართველი ქალი იმსახურებდა თავისი მეუფის კეთილგანწყობილებას. ამავე დროს იგი ერთგვარი გავლენით და უფლებებითაც კი სარგებლობდა დანარჩენებთან შედარებით.“**

**„თუშები საშუალო ტანის, მაგარი აგებულების ხალხია, მკვეთრი და სწორი სახის ნაკვთებით.“**

**„ლაზები თავიანთ მონათესავე მეგრელ და იმერელ მამაკაცებზე დაბლები ჩანან. სამაგიეროდ, უფრო მხარბეჭიანები არიან. ისინი მარდი და მკვირცხლი ხალხია, სახეც უფრო მეტყველი და ცოცხალი აქვთ.“**



ანზორ თოთაძე

(გაგრძელება იქნება)

# არც ერთი იყო ვენეციელი...



**სანდრო მამუკელაშვილის შესანიშნავი მატჩი: 19 ქულა და მატჩის MVP „ორლანდო მეჯიქის“ წინააღმდეგ:**

გუშინ NBA-ს მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, საიდანაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო დაპირისპირება კანადაში შედგა, სანდრო მამუკელაშვილის „ტორონტო რეპტორსმა“ საკუთარ დარბაზში **გოგა ბითაძის** „ორლანდო მეჯიქს“ უმასპინძლა და მეტოქე დიდი ანგარიშით 139:87 გაანადგურა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის საუკეთესო კალათბურთელი კანადელთა ქართველი ლეგიონერი სანდრო მამუკელაშვილი გახდა, რომელმაც მატჩი 19 ქულით დაასრულა. შეხვედრის შემდეგ სანდრომ პრესკონფერენცია გამართა, სადაც გოგა ბითაძესთან დაპირისპირებაზეც ისაუბრა.

**„ძალიან კარგი მატჩი გამოგვივიდა და მოხარულები ვართ გამარჯვებით. ჩემ თამაშს რაც შეეხება, თანაგუნდელების გარეშე არაფერი გამოვიდოდა, განსაკუთრებით, როდესაც გუნდში სკოტ ბარნესის მსგავსი თანაგუნდელი გყავს. მასთან ერთად თამაში გაცილებით მარტივი ხდება, რადგან ის არის გუნდური მოთამაშე, სწრაფად აზროვნებს, ზედმეტს არაფერს აკეთებს და ზუსტად იცის, როდის უნდა მოგაწოდოს პასი. მე უბრალოდ გავრბივარ, უკან ვიყურები და იმედი მაქვს, რომ პასს მომაწვდის და ისიც სწორედ ამას აკეთებს. ჩვენი წარმატების საიდუმლო სწორედ ამ გუნდურობაშია, იმედი მაქვს ასე თამაშს გავაგრძელებთ და მეტ თამაშებს მოვიგებთ.**

**რაც შეეხება ჩემი და გოგას დაპირისპირებას, მის წინააღმდეგ თამაში 6-7 წლის ასაკიდან მიწევს და მასთან შეხვედრა ყოველთვის მძულდა, რადგან ის იყო ერთადერთი, ვინც ჩემს ნასროლს ბლოკავდა. მაშინ გოგა ძალიან მაღალი იყო. გოგას გამო ძალიან ბედნიერი ვარ და ყოველთვის სასიხარულოა მასთან შეხვედრა. ის ყოველთვის, როდესაც მოედანზე შემოდის თავის საქმეს აკეთებს და გუნდს ეხმარება, თუმცა იმედი მაქვს მას მეტი სათამაშო დრო მიეცემა. გოგა ჩვენს ქვეყანას უმაღლეს დონეზე წარმოაჩენს და ეს გასაოცარია“,** – განაცხადა **მამუკელაშვილმა.**

სანდრო მამუკელაშვილმა პარკეტზე 21 წუთი გაატარა, რა დროშიც 19 ქულას, 4 მოხსნას და 3 ჩაჭრას მოუყარა თავი. სანდრო მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. როდესაც ის პარკეტზე იყო „ტორონტომ“ მეტოქე გუნდზე 47-ით მეტი ქულა ჩააგდო.რაც შეეხება გოგა ბითაძეს, მას გუშინდელ შეხვედრაში სათამაშოდ 10 წუთი ერგო და ხსენებულ დროში 6 ქულა და 4 მოხსნა ჩაიწერა აქტივში.

**შეგახსენებთ, რომ "ტორონტო" 42 მოგებითა და 32 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილს იკავებს, ხოლო გოგა ბითაძის „ორლანდო“ მე-8 პოზიციაზეა, მისი ბალანსი 39 მოგება და 35 მარცხია.**

# უქმეების ამბები

## პარაფარიკაობა

**მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი.** ხმალი. „ა“ კატეგორია. ვერცხლი. ნინა თიბილაშვილი. „ბ“ კატეგორია. **ბრინჯაო.** ირმა ხეცურიანი.

## წყალში ხტომა



**ბუდაპეშტი (უნგრეთი).** საერთაშორისო ტურნირი 13 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოს ნაკრები – 5 მედალი. **ოქრო.** ალექსანდრე ცხომელიძე (3-მეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალური ხტომა). ალექსანდრე ცხომელიძე – გიორგი წულუკიძე (3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონული ხტომა). **ვერცხლი.** გიორგი წულუკიძე. **ბრინჯაო.** კოკა საკანდელიძე, თეკლა შარია.

## ხელბურთი

**ევრო 2028 (ესპანეთი, პორტუგალია, შვეიცარია).** შესარჩევი ტურნირის წილისყრა (ნოემბერი-მაისი). **მე-2 ჯგუფი.** ნორვეგია, ავსტრია, საქართველო, თურქეთი.



# უძლიერესი შემადგენლობით

**ძიუდოისტთა 2026 წლის ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდე კვირა რჩება, აღნიშნულ ტურნირს თბილისი უმასპინძლებს. შეჯიბრება 16 აპრილს დაიწყება და 19-ში დასრულდება.** საქართველოს ნაკრები ტურნირზე 18 ძიუდოისტით იჭიდავებს, საიდანაც 9 ვაჟია, ხოლო 9 – ქალი.

### ვაჟები

-60 კგ გიორგი სარდალაშვილი, -66 კგ ვაჟა მარგველაშვილი, -73 კგ მიხეილ ბახბახაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი -81 კგ, ტატო გრიგალაშვილი -90 კგ ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე, +100 კგ ილია სულამანიძე, +100 კგ გურამ თუშიშვილი.

### ქალები

-48 კგ თამარ გიგოლაევი, ჯულიეტა როდონაია, -52 კგ, ნინო თათრიშვილი, -57 კგ ეთერ ლიპარტელიანი, ნინო ლოლაძე, -63 კგ ნინო წიკლაური, -70 კგ ნინო გულბანი, მარიამ ჭანტურია, +78 კგ სოფიო სომხიშვილი.

# საკუთარი ხელწერით

**საქართველოს 18-წლამდელთა 7-კაცა ნაკრებს დიმიტრი კიკნაძე და ლუკა ხეხელაშვილი გაუძღვებიან. მათ საუკეთესოდ უპასუხეს რაგბის კავშირის მიერ დადგენილ პირობებს და მთავარ მწვრთნელად კიკნაძე, ხოლო ასისტენტ მწვრთნელად ხეხელაშვილი დაინიშნენ.**




საგულისხმოა, რომ საქართველოს რაგბის კავშირის მიერ გამოცხადებულმა სტაჟირების პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია და საკონკურსო პროცესში 9 მწვრთნელმა მიიღო მონაწილეობა, რამაც მაღალი დონის კონკურენტული გარემო შექმნა.

თითოეული კანდიდატი შეფასდა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის (რეზიუმე, სამოტივაციო წერილი, ვიდეო მიმართვა), ასევე იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრული იყო აღნიშნული პოზიციებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 7-კაცა რაგბის სპეციფიკაზე ორიენტირებულ სამუშაო გამოცდილებას, ანალიტიკურ უნარს, ეროვნული ნაკრების სათამაშო ფილოსოფიასთან შესაბამისობასა და გუნდის საერთო საჭიროებებს.

კანდიდატები იყვნენ მოქმედი მწვრთნელები, რომელთაც გააჩნიათ მრავალფეროვანი პრაქტიკული (სამწვრთნელო) და სათამაშო გამოცდილება, მათ შორის საქართველოს ეროვნული 15-კაცა და 7-კაცა ნაკრებების დონეზე. ამან შერჩევის პროცესს დამატებითი სიღრმე და მნიშვნელობა შესძინა.

**დიმიტრი კიკნაძე** არის საქართველოს 7-კაცა ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი. 2020 წლიდან იგი მუშაობდა ეროვნულ აკადემიაში სარაგბო უნარების მწვრთნელად, ასევე არის რაგბის კლუბ „ვეფხვების“ მთავარი მწვრთნელი. ფლობს მსოფლიო რაგბის სამწვრთნელო კვალიფიკაციებს, მათ შორის მე-2 დონეს 7-კაცა და მე-3 დონეს 15-კაცა მიმართულებებით.

**ლუკა ხეხელაშვილი** საქართველოს ღირსებას იცავდა როგორც 18-წლამდელთა, ასევე ეროვნული 7-კაცას შემადგენლობებში. ის ახლაც არის საქართველოს 7-კაცა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში.პარალელურად, სწავლობს საქართველოს სპორტის უნივერსიტეტში, სამწვრთნელო ფაკულტეტზე და ფლობს მსოფლიო რაგბის მე-2 დონის სერტიფიკატებს 15-კაცა და 7-კაცა მიმართულებებით.

# უძლურნი ვიყავითო

**„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ლიონელ მესიზე ისაუბრა.** როგორც მან თქვა, 2021 წელს გააკეთეს არჩევანი, რომელიც უნდა გაეკეთებინათ, როცა არგენტინელი ფეხბურთელი გუნდიდან გაუშვეს.

**„გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. ლეო კარიერის დასასრულს უახლოვდებოდა და ახალი გუნდის აშენება გვჭირდებოდა. მინდოდა, რომ მას კარიერა „ბარსელონაში“ დაესრულებინა. ვცადეთ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, კლუბის ფინანსების აღდგენაც მოგვიწია და ეს არჩევანი გაკეთდა. მესი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა, კუბალასა და კრუიფის მსგავსად. ის იმსახურებს ქანდაკებას და საზეიმო მატჩს. „ბარსელონა“ მისი სახლია. ადრე თუ გვიან, ჩვენი ინტერესები კვლავ გადაიკვეთება“,** – აღნიშნა **ლაპორტამ.**



შეგახსენებთ, რომ ლიონელ მესი „ბარსელონადან“ „პარი სენ-ჟერმენში“ გადავიდა, ხოლო შემდეგ კარიერა „ინტერ მაიამიში“ განაგრძო, სადაც დღემდე თამაშობს. „ბარსელონაში“ მესიმ 778 მატჩი ჩაატარა და 672 გოლი გაიტანა.

# სინერის საოცრებანი



**იტალიელი ჩოგბურთელი იანიკ სინერი მაიამის მასტერსის გამარჯვებულია. მსოფლიოს მეორე ნომერი ფინალურ შეხვედრაში ჩეხ ირჟი ლეჰეჩკას დაუპირისპირდა და მეტოქე მარტივად ორ სეტში – 6:4, 6:4 დაამარცხა, რითაც კარიერაში 26-ე ტიტულის დაუფლება შეძლო.**

გარდა ამ ყველაფრისა, იანიკ სინერმა ისტორიული შედეგი დააფიქსირა, მან „მზიანი დუბლი“ შეასრულა, რაც ერთ სეზონში „ინდიანა უელსისა“ და „მაიამის მასტერსის“ მოგებას ნიშნავს.

აღნიშნული ტურნირების მოგება იტალიელმა ჩოგბურთელმა სეტის წაუგებლად მოახერხა, რაც კიდევ ერთი ისტორიული შედეგია. სინერი გახდა მსოფლიოში პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც მსგავსი რამ მოახერხა.

**ცნობისთვის გეტყვით, რომ იანიკ სინერმა მაიამის მასტერსის მოგებით დაახლოებით 1,1 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.**



## ყვარელში ავტოსაგზაო შემთხვევას 52 წლის პოლიციელი – ქალი ემსხვერპლა



**ყვარელში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 52 წლის ქალი პოლიციელი ემსხვერპლა.**

არსებული ინფორმაციით, სატვირთო ავტომობილი მოცურდა და მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. როგორც "კვირას" შს სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო. ადგილზე მობილიზებულია იყო პოლიცია და ექსპერტ-კრიმინალისტები.

## განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულ 10 წლით პატიმრობა მიესაჯა

**თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობის და ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის ფაქტებზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო.**

პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2025 წლის 7 დეკემბერს, ბრალდებული ძალის გამოყენებით შეიჭრა თელავში მდებარე დაზარალებულის საცხოვრებელ ბინაში და დანით სხეულის სხვადასხვა არეში, მრავლობითი, სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობები მიაყენა. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა.

ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 160-ე მუხლის პირველი ნაწილით (ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა) წარედგინა. თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## გურიაში ბავშვს მატარებელი დაეჯახა

**გურიაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში ბავშვს მატარებელი დაეჯახა.**

არსებული ინფორმაციით, დაშავებული ბავშვი ქუთაისის კლინიკაში გადაიყვანეს და მისი მდგომარეობა მძიმეა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს იმ ადამიანის მიერ, ვისაც ამ წესის დაცვა სპეციალურად ევალება, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.




## ჰაიტის არტიბონიტის რეგიონში თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 70 ადამიანი დაიღუპა!

**ჰაიტის არტიბონიტის რეგიონში თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 70 ადამიანი დაიღუპა, 30 კი დაშავდა. ადამიანის უფლებადამცველი ჯგუფის, Defenseurs Plus-ის განცხადებით, დაღუპულთა რაოდენობა, შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს.**

ჰაიტის მცხოვრებლებმა და ოფიციალურმა პირებმა ადგილობრივ მედიას განუცხადეს, რომ თავდასხმა კვირას, გამთენიისას ჟან-დენის მიმდებარე სოფლებში დაიწყო და ორშაბათსაც გაგრძელდა. მათივე თქმით, ბანდების წევრები დასახლებაში შეიჭრნენ და სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. Defenseurs Plus-ის ინფორმაციით, მომხდარის გამო 6 000 ადამიანი იძულებული გახდა, საცხოვრებელი დაეტოვებინა.

# განცხადება

**სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

| | |
|---|---|
| 1. | მობილური მანქანების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი _ ერთი საშტატო ერთეული. |
| 2. | მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი _ ერთი საშტატო ერთეული. |

**კონკურსის პირობები:**

**უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

| | |
|---|---|
| ა) | განცხადება; |
| ბ) | პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; |
| გ) | ავტობიოგრაფია (CV); |
| დ) | დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; |
| ე) | გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| ვ) | ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს; |
| ზ) | სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში); |
| თ) | სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი; |
| ი) | პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები; |
| კ) | შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი). |
| | საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10. |
| | **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2026 წლის 27 აპრილი.** |
| | დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ _ ნინო დიდიშვილს ტ.: 599 141468, 2 329017 |

სანთელი

## არდავიწყება მოყმისა...



**40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ამქვეყნიურ სამყაროს დაემშვიდობა და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა ღვაწლმოსილმა მამულიშვილმა, უაღრესად კოლორიტულმა, თავაზიანმა, უბადლო პატრიოტიზმით გამორჩეულმა, სიკეთით და სიყვარულით სავსე პიროვნებამ, ცნობილმა საზოგადო, სამეურნეო და პარტიულმა მოღვაწემ ოთარ ჭითანავამ.**

**ყოველგვარ მოგონებას თან ახლავს სევდა, როცა მოგონებათა სქელ გვერდებს ნელ-ნელა ვფურცლავთ ჩვენი ცხოვრების გარემოცვის წიაღში, ყველა პიროვნება თავისებურად გამოანათებს ხოლმე და თავს გვახსენებს – ხომ არ დაგავიწყდითო. არა! არ დაგვვიწყებია და ბევრი მათგანი ჩვენს მეხსიერებაშია. ჩვენი ძვირფასი ადამიანების მოგონებები კი არ გვაშორებენ მათ, პირიქით, უფრო გვიახლოვდებიან ისინი სულიერ სამყაროში, უფრო მეტად ფასობს ჩვენში მათი ღირსებები და თითოეულს სიყვარული და პატივისცემა დროის პარამეტრებით არ იცვლება.**

**ოთარ ჭითანავას მთელი ენერგია და მოღვაწეობა ქვეყნისა და მოყვასის სამსახურსა და სიყვარულისკენ იყო მიმართული.**

**ყველა ადამიანს გააჩნია თავისი ფსიქოლოგიური პორტრეტი, რომელშიც შესისხლხორცებულია მისი ბუნება, ხასიათი, შეხედულებები, ქცევისა და მოქმედებების ფორმა და შინაარსი. ასეა გამოკვეთილი ოთარ ჭითანავას ფსიქოპორტრეტი და ის გამომდინარეობს მისი ცხოვრების წესიდან, პრაქტიკული მოღვაწეობის გადასახედიდან.**

**მისი ცხოვრების საქმიანობის საფუძველთა საფუძველი იყო მშობლიური კუთხისა და ერთიანი საქართველოს მსახურება.**

**საბჭოთა საქართველოს პირობებში, მიუხედავად ერთპარტიული დიქტატისა, ბევრმა ღირსების მქონე ადამიანმა, სწორედ ეროვნული ტრადიციების არდავიწყებით მოახერხა ეცხოვრა ღირსეულად, არ დაეკარგა ზღვარი საკუთარი ერის წესსა და თანადროულ სამსახურს შორის.**

**გასული საუკუნის დასასრულს ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ბატონი ოთარ ჭითანავა. მისი პატიოსნება, პირდაპირობა, სიახლისკენ სწრაფვა იყო საწინდარი იმ წარმატებებისა, რომელსაც აღწევდა სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობის ჟამს.**

**ეს თვისებები მისი სულიერი სამყაროს ნაწილი და კაცურკაცობის ნათელი მაგალითი გახლდათ.**

**ჯორჯ ვაშინგტონი ამბობდა: „წარმატება გავზომოთ არა იმით, თუ რა მაღალ მდგომარეობას მიაღწია ადამიანმა ამ ცხოვრებაში, არამედ განვსაზღვროთ იმ წინააღმდეგობებით, რაც მან გაიარა ამ მიღწევისათვის"...**

**ეს მოსაზრება პირდაპირ მიესადაგება ბატონ ოთარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სწორედ საკუთრივ გაღებული შრომითა და კაცური თვისებებით იცნობდნენ და აფასებდნენ მას მშობლიურ ზუგდიდსა და მთელ საქართველოში.**

**წუთისოფლის გზაზე ჩვენს გონებაში მრავალი სხვადასხვა თანამებრძოლის ცხოვრება და მოღვაწეობა აისახება, ზოგი ფრაგმენტულად, უფერულად, ხოლო ზოგიც – სახიერად, დიდბუნებოვნად და სამარადჟამოდ.**

**სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ბატონი ოთარი.**

**ოთარ ჭითანავამ თავისი საქმიანობის უმეტესი ნაწილი ხელმძღვანელ თანამდებობებზე გაატარა.**

**ცხადია, თანამშრომლები ხელმძღვანელში ძლიერ და საქმის მცოდნე ადამიანს უნდა ხედავდნენ, რომელიც არ ჩაიკეტება კაპინეტში, იქნება ღია და ხალხისთვის მისაღები, არ შელახავს მათ პატივსა და ღირსებას, იქნება მათი მოსარჩლე და ჭირის გამზიარებელი...**

**სწორედ ასეთი ხელმძღვანელი იყო ოთარი ჭითანავა.**

**ოთარ ჭითანავას გარდაცვალებიდან განვლილმა დღეებმა გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პიროვნება და გულანთებული მამულიშვილი დააკლდა ოჯახს, ქვეყანას, საზოგადოებას და სამეგობროს. მუდამ ხელგაშლილმა და სტუმართმოყვარემ, ნამუსიანი ცხოვრებით იცხოვრა და დაგვიტოვა დაუვიწყარი სახელი – ოთარ ჭითანავა!**

**მარადიული ხსოვნა და არ დავიწყება, ძვირფასო ოთარ!**

ნოდარ ჭითანავა, კლიმენტი ჯანჯღავა, გურამ გუნავა, იგორ ქობალია, მირზა ქორქაშვილი, რაულ ჩილაჩავა, თამაზ ცანავა, მამუკა წოწერია, მურმან ნაჭყებია, დემურ გადელია, მამუკა ადამია, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, თენგიზ შანავა, იური გუგუჩია, გიორგი ყუფუნია, ვაჟა ფიფია, ზურაბ აბშილავა, ნუგზარ მალაშხია, მურთაზ ბოკუჩავა, ლავრენტი კემულარია, ჯემალ კვირტია, დემიკო ლოლაძე, ლაური ჯანაშია, ხათუნა თორდია, ზამირა ღადუა, ტარიელ დგებუაძე, ნუგზარ სულავა.



# აჭარის ტურისტული პროდუქტები ვროცლავის ტურისტულ გამოფენაზე

**მთიანი აჭარის ეკოტურისტული მარშრუტებითა და გასტრონომიით პოლონელი ვიზიტორები დაინტერესდნენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, ვროცლავის გამოფენის ფარგლებში, სადაც რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა გაუწია პოპულარიზაცია, ვიზიტორების განსაკუთრებული ინტერესი მთიანი აჭარის მრავალფეროვანმა ტურისტულმა პროდუქტებმა გამოიწვია.

**„სამი დღის განმავლობაში საქართველოს სტენდთან მათ საშუალება ჰქონდათ ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ აჭარასა და ზოგადად, საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით. გამოფენაზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა. წელს, ვროცლავის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე 200-ზე მეტი ტურისტული კომპანია, ორგანიზაცია და მიმართულება იყო წარმოდგენილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან“.**

# სალიტერატურო ნორმების დაცვაზე სემინარი სახელმწიფო ენის დეპარტამენტში

**სახელმწიფო ენის დეპარტამენტში სალიტერატურო ნორმების დაცვაზე სემინარი ჩატარდა.**

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ცნობით, სემინარის მიზანი იყო დამსწრეებისთვის საქმიანი მიმოწერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სწორად და სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმართვის სწავლება.

სემინარზე განიხილეს ქართული სალიტერატურო ენის ახალი და განახლებული ნორმები, სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები და სხვადასხვა სახის კონვერტორები, რომლებიც მომზადდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტში. კონვერტორები მომხმარებელს ხელს შეუწყობს ქართული და უცხოენოვანი ადამიანთა და გეოგრაფიული სახელების სწორად გამოყენებასა და მართებული ფორმების შერჩევაში. აგრეთვე, გავრცელებული შეცდომების თავიდან აცილებასა და აზრის ნათლად ჩამოყალიბებაში.



# პეტრას ციხეზე სამეურნეო ნაგებობის საკონსერვაციო სამუშაოები დაიწყო

**აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ პეტრას ციხის ტერიტორიაზე დაიწყო სამეურნეო ნაგებობის საკონსერვაციო სამუშაოები, რისთვისაც ბიუჯეტიდან 130 000 ლარია გამოყოფილი.**



ხსენებული სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი წარმოადგენს არქეოლოგიური უბნების კონსერვაციის პროცესის გაგრძელებას, რომლის პირველი და მეორე ეტაპი წინა წლებში წარმატებით განხორციელდა და მოიცავდა ციხის ტერიტორიაზე არსებული სამნავიანი ბაზილიკის, აბანოს, ციხის შიდა კედლისა და წყლის რეზერვუარის კონსერვაცია/რეაბილიტაციას. **სამუშაოები მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ძეგლის ავთენტიკურობის შენარჩუნებასა და შემდგომი დაზიანებების პრევენციას.**

# „მადლობა, მიყვარხარ, მაპატიე — „სოხუმის დრამატულ თეატრში“

**კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ინტეგრირებული დასის „აზდაკის ბაღის“, საავტორო სპექტაკლის – „მადლობა, მიყვარხარ, მაპატიე“ პრემიერა გაიმართა, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი გიორგი ძაძამია დაესწრო,** – ინფორმაციას აფხაზეთის მთავრობა ავრცელებს.

უწყების ცნობით, დადგმა ალეგორიული ნარატივის მეშვეობით გვიყვება ადამიანობაზე, თანაარსებობას და განსხვავებულობის მიღებაზე. სიუჟეტის მიხედვით, დედამიწელები შემთხვევითი ექსპერიმენტის შედეგად ხვდებიან უცნობ პლანეტაზე, სადაც მისი ბინადრები ჰარმონიაში ცხოვრობენ და ყოველი დღე დღესასწაულია.

**„პრემიერას ასევე საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბუნია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.**

სპექტაკლში აფხაზეთის ა/რ პროფესიული სახელმწიფო ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის ბაღის“ და საქართველოს სხვადასხვა თეატრის დამსახურებული მსახიობები მონაწილეობდნენ. სპექტაკლის იდეის ავტორი და რეჟისორია **ივანე (ბაჩო) გაბრუაშვილი.**



# მუზეუმიდან რენუარის, სეზანისა და მატისის ნამუშევრები მოიპარეს!

**იტალიის ერთ-ერთი მუზეუმიდან მოიპარეს პიერ ოგიუსტ რენუარის, პოლ სეზანისა და ანრი მატისის ნამუშევრები, რომელთა საერთო ღირებულება რამდენიმე მილიონ ევროს აღწევს,** – ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს.

მედიის ცნობით, ნამუშევრები მოიპარეს პარმასთან მდებარე კერძო მუზეუმიდან. მოპარულ ნამუშევრებს შორისაა რენუარის „თევზები“, სეზანის „ნატურმორტი ალუბლით“ და მატისის „ოდალისკა ტერასაზე“. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, ძარცვა 22 მარტს მოხდა. პოლიციის ცნობით, მძარცველები ოთხნი იყვნენ.

**როგორც მედია წერს, ნიღბიანმა დამნაშავეებმა კარი გატეხეს, პირველ სართულზე მდებარე ერთ-ერთ დარბაზში შეაღწიეს და მუზეუმის ბაღის გავლით მიიმალნენ. მძარცველები შენობაში სულ სამი წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ. სამართალდამცველების შეფასებით, დანაშაული წინასწარ იყო დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული.**

**ამასთან, როგორც იტალიური მედია წერს, მძარცველები, სავარაუდოდ, სიგნალიზაციის ამოქმედებამ შეაშინა, რის გამოც მეოთხე ნახატი, რომლის მოპარვასაც ისინი გეგმავდნენ, მუზეუმში დატოვეს.**

ამჟამად პოლიცია სწავლობს მუზეუმისა და მის მახლობლად მდებარე ობიექტების სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს.

**მანიანი როკას ფონდში, რომელიც პარმადან 20 კილომეტრში მდებარეობს, დაცულია ხელოვნებათმცოდნე ლუიჯი მანიანის კოლექცია. მასში ასევე შედის ალბრეხტ დიურერის, პეტერ პაულ რუბენსის, ანტონ ვან დეიკის, ფრანსისკო გოიასა და კლოდ მონეს ნამუშევრები. ფონდი 1977 წელს დაარსდა.**



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოზულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოზულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 3 აპრილს**